# ლელო

№249 (12 319) | 22 ოქტომბერი ორშაბათი 2007 | გამოდის 1934 წლიდან | ფასი 50 თეთრი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლაუს ტოპმიოლერი: შოტლანდიას აზროვნებით მოვუგეთ!

## ლომაია არანაირ როლს აღარ თამაშობს, გოგუას კი ბოდიში აქვს მოსახდელი...



**გახსოვთ, როდის ითამაშა საქართველოს ნაკრებმა ბოლოს ასეთი გამართული და სანახაობრივი ფეხბურთი? თავი დავანებოთ იმას, რომ ჩვენმა გუნდმა შოტლანდიასთან უმნიშვნელოვანესი თამაში მოიგო - მთავარი სიურპრიზი ის გახლდათ, რომ მთელმა გუნდმა, ფაქტობრივად, უნაკლოდ და უშეცდომოდ ითამაშა. რას მივაწეროთ ეს? ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერთან ინტერვიუ სწორედ ამ კითხვით დავიწყეთ.**

**ჰერ ტოპმიოლერ, კითხვა, რომელიც ახლა უნდა დაგისვათ, პირველია, რაც ნებისმიერ ქართველ გულშემატკივარს შოტლანდიასთან მატჩის დასრულების შემდეგ თავში მოუვიდოდა: როგორ ვითამაშეთ ასე კარგად, თითქმის უნაკლოდ და უშეცდომოდ?**

- ამ კითხვას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს: ასეთი კარგი თამაში მუშაობის შედეგია. გუნდმა იმუშავა, იშრომა და, ბოლოს და ბოლოს, გაწეული სამუშაო მოედანზე უნაკლოდ გადაიტანა. თამაში, რომელიც საქართველოს ნაკრებმა შოტლანდიასთან აჩვენა, არის ფეხბურთი, რომელიც მე მიყვარს. სწორედ ეს არის ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია: დაუნდობელი ბრძოლა, შეტევა, სწრაფი კომბინაციები, პრესინგი მეტოქის ნახევარზე...

2

## დევისის თასზე სლოვაკეთი გვერგო

გაიმართა "დევისის თასის" I ევრო-აფრიკული ზონის მომავალი წლის წილისყრა. საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრებმა წლეულს პორტუგალია 3:2 დაამარცხა და სერბეთთან 0:5 წააგო, ერთი მოგებით კი ზონაში ადგილი შეინარჩუნა. პირველ წრეში, რომელიც 8-10 თებერვალს გაიმართება, საქართველო ისვენებს, მეორეში კი სლოვაკეთის გუნდს ხვდება. მატჩი 11-13 აპრილს ბრატისლავაში გაიმართება. გამარჯვებული მსოფლიო ჯგუფის პლეიოფში გადის, დამარცხებულს ივლისში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევს ბრძოლა. წლეულს სლოვაკეთი მსოფლიო ჯგუფის პლეიოფში გავიდა, თუმცა იქ 2:3 დამარცხდა კორეის ნაკრებთან. სლოვაკეთის ნაკრების ლიდერი **დომინიკ ჰრბატია**, ნაკრებში არიან: **მიხალ მერტინაკი, პავოლ ჩერვენაკი** და **ივო კლეჩი**. სლოვაკეთის ნაკრები "დევისის თასის" რეიტინგში მეცხრეა, ხოლო საქართველო 33-ე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## დინამომ ლიდერობა ზესტაფონს გადაულოცა

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. IX ტური

2-3

## ჩემპიონმა ვითასთან მოგებით დაიწყო

კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. I ტური

11

## მჭედლიძის ემპოლიმ მილანი სან სიროზე დასცა

6-10 ესპანეთში ლიდერებს ხელი მოეცარათ

## მსოფლიო თასი სამხრეთ აფრიკას

13

ფინალური მატჩის ირგვლივ



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მგლებმა ოლიმპი ვერ დაიპყრო

**ოლიმპი-მგლები**

**2:1**

**21.10. რუსთავი. ფოლადი**
**მაყურებელი**

1:0 დვალიშვილი (65. ჟივკოვიჩის პასით), 1:1 ჭედია, 2:1 რ. ჯიქია (88. კოშკაძის პასით).

ოლიმპი: მერლანი – ორბელაძე, მახვილაძე, სილაგაძე, ნავალოვსკი (69. კოშკაძე) - ჩივაძე (46. ჟივკოვიჩი), კახელიშვილი, დევდარიანი, ქებაძე – დვალიშილი (76. აკუასაგა), რ. ჯიქია.

*სათადარიგოები:* ალავიძე, ნ. მგელაძე, მასუანგა, ყრუაშვილი.

მგლები: ივარდავა – ექონია (73. ნურნუმია), მაჭავარიანი, დ. ნარსია, კაკაბაძე (68. ბაკარანძე) – ქირია (80. ლიპარტია), ვართაგავა, კუტალია, ხუბუა, გაბედავა – ჭედია.

*სათადარიგოები:* ჭითანავა, ქომეთიანი, ხუხია, ჭკადუა.

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

**6.** ქებაძის ძლიერად დარტყმული ივარდავამ კუთხურზე მოიგერია.

**26.** რუსთაველებს რეალური საგოლე მომენტი ჰქონდათ. დვალიშვილის დარტყმული ივარდავამ მოიგერია, დამატებაზე კახელიშვილმა კარგად დაარტყა, მაგრამ ექონიამ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

**28.** ჩივაძის დარტყმული მიზანს ასცდა.

**48.** ჟივკოვიჩმა თამაში გამოაცოცხლა და მნიშვნელოვნად გააძლიერა მასპინძელთა შემტევი პოტენციალი. სერბი ნახევარმცველის კარგი პასი შედეგად რეზო ჯიქიამ სტუმართა კარს, მაგრამ ააცილა.

**58.** ქებაძემ საჯარიმო დარტყმა ოსტატურად შეასრულა, მაგრამ ივარდავა კვლავ მონოდების სიმაღლეზეა.

**65.** 1:0 - ჟივკოვიჩის ჩინებული პასი დვალიშვილმა შეირგო და მეკარე ივარდავას შორეულ დაბალ კუთხეში გაუტანა.

**67.** კახელიშვილის დარტყმული მცირედით ასცდა მიზანს.

**75.** დვალიშვილის დარტყმულს მეკარე ივარდავა გადაეფარა.

**82.** 1:1 - შორიდან ვართაგავას ძლიერად დარტყმული მერლანმა ხელში ვერ შეიმაგრა. დამატებაზე ყველას ჭედიამ დაასწრო და წონასწორობა აღადგინა.

**83.** კოშკაძის მიერ ძლიერად დარტყმული ივარდავამ კუთხურზე მოიგერია.

**88.** 2:1 - რუსთაველთა შტურმმა შედეგი გამოიღო. კოშკაძის პასით რეზო ჯიქიამ ივარდავა უშანსოდ დატოვა.

**90.** კოშკაძემ ქებაძე კარგ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ააცილა.

რუსთავში გამართული მატჩის ტაიმები მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მეტოქეებმა გოლები მეორე ნახევრისთვის შემოინახეს. შესაბამისად, შესვენების შემდეგ, მოედანზე უკეთესი ბურთაობა გაიმართა, ვიდრე პირველ ნახევარში. საწყისი 45 წუთი იმით იყო გამორჩეული, რომ მასპინძლებს 26-ე წუთზე რეალური საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მეკარე **ივარდავამ** და კაპიტანმა **ექონიამ** იმარჯვეს.

მატჩის სტარტზე რუსთაველებმა ჯერ ტერიტორიული, მალევე კი სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს და დაწინაურებას ცდილობდნენ, მაგრამ ეს მეორე ტაიმამდე ვერ მოახერხეს. რაც შეეხება სტუმრებს, ტრიბუნაზე შეკრებილი სამიათეული ზუგდიდელი ქომაგი შეძახილებით, დოლითა თუ სხვა ინსტრუმენტებით ერთგულად ქომაგობდა თავიანთ გუნდს, მაგრამ "მგლებმა" ქულის გადარჩენა მაინც ვერ შეძლო. **ბესიკ შეროზიას** გუნდს ტრავმის გამო მეკარე **აკაკი დევაძის** გარდა, **ზამირ ჯანაშია, გიორგი კრასოვსკი** აკლდნენ. დისკვალიფიცირებულმა **ჯოჯუამ** კი გუშინ მეოთხე მატჩი გამოტოვა და მალე დაუბრუნდება თავის გუნდს.

რუსთაველებმა მეორე ტაიმი ერთობ ენერგიულად დაიწყეს. მასპინძლეთა თავკაცმა **ანატოლი პისკოვეცმა ჩივაძე ჟივკოვიჩით** შეცვალა. სერბმა ნახევარმცველმა "ოლიმპის" შეტევები უფრო დალაგებული, ორგანიზებული გახადა. ამან შედეგი გამოიღო კიდეც. საგოლე პასის ავტორად სწორედ ჟივკოვიჩი მოგვევლინა. მან ჩინებული პასით დვალიშვილი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა და ლადომაც ანგარიში გახსნა - 1:0. რუსთაველები მინიმალურ უპირატესობას არ დასჯერდნენ და ფორის გაზრდაზე იწყეს ზრუნვა, თუმცა ივარდავა თამაშობდა საიმედოდ. ვითარების უკეთესობისკენ შესაცვლელად პისკოვეცმა ჯერ იყო და დაღლილი **ნავალოვსკი კოშკაძით** შეცვალა, მოგვიანებით, 76-ე წუთზე კი დვალიშვილი შეტევიდან მოხსნა და **აკუსაგას** მოედანზე შეყვანით დაცვა გააძლიერა. საპირისპიროდ შეროზიამ **კაკაბაძე** ფორვარდ **ბაკარანძით** ჩაანაცვლა. ბოლო ათ წუთში მასპინძლები თითქოსდა მოდუნდნენ და გოლიც მიიღეს - 82-ე წუთზე **ვართაგავამ** შორიდან ძლიერად გაისროლა, მეკარე **მერლანმა** ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და **ჭედიამაც** დამატებაზე იმარჯვა და ანგარიში გაათანაბრა.

საბოლოო ანგარიში **რეზო ჯიქიამ** დააფიქსირა. ეს იმ პერიოდში მოხდა, მასპინძლებმა სტუმრები საკუთარ საჯარიმოში რომ მიაჯაჭვეს. არბიტრის მიერ წამატებულ დროში კოშკაძეს შეეძლო მეორე საგოლე გადაცემაც მიეთვალა, მაგრამ **ქებაძემ** დარტყმა გააფუჭა.



გამარჯვების გოლი რევაზ ჯიქიამ გაიტანა

**რჩეული**

**რევაზ ჯიქია**

ვლადან ჟივკოვიჩმა მასპინძელთა იერიშები მეტად სახიფათო გახადა და საგოლე პასის ავტორიც გახდა. საგოლე გადაცემა მიითვალა ალექსანსდრე კოშკაძემაც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი მაინც რეზო ჯიქიამ შეასრულა. გარდა იმისა, რომ გამარჯვების გოლი გაიტანა, საკმაოდ აქტიურობდა და ზუგდიდელებს არაერთი პრობლემა შეუქმნა.

დავით **ცაბაძე**
რუსთავი-თბილისი

**მერანი-ზესტაფონი**

**0:1**

**21.10. თბილისი. მერანი**
**800 მაყურებელი**

0:1 იონანიძე (90+3. შ. ლონლაძის პასით)

მერანი: თევდორაძე - გოჩაშვილი, სარალიძე, თ. კობიაშვილი, გიგაური - ჯანგიძე, ფურთუხია, ტყეშელაშვილი (67. ქოქიაშვილი), ქემაშვილი (90. იაგო დეისაძე), ბურჯანაძე - შენგელია

*სათადარიგოები:* სეფიაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, იაკობ დეისაძე, ბ. ნოზაძე, კობერიძე

ზესტაფონი: ჭანტურია - ს. თოდუა, საჯაია (27. გ. ნუგ. ჭელიძე), შ. ლონლაძე, კ. ჩხეტიანი (78. ბიტოო) - ჟონატასი, კესანი, რ. ონიანი, ვიეირა (70. იონანიძე) - ფიფია, გ. ნოდ. ჭელიძე

*სათადარიგოები:* ჯალალონია, ხიდეშელი, ნ. კვასხვაძე, ბ. გოცირიძე

გაფრთხილება: ფურთუხია (38), ვიეირა (56), ჭანტურია (81), თევდორაძე (87)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**24.** ჭანტურიას ფურთუხიას მიერ ჯარიმიდან დარტყმული ბურთის ხელში შემაგრება არ გასჭირვებია.

**21.** კესანის შორეული დარტყმა "მერანის" კარს ზემოდან გადასცდა.

**32.** ჩხეტიანის ჯარიმა მასპინძელთა კარს ზემოდან ასცდა.

**42.** ფიფიას არცთუ სახიფათო დარტყმა თევდორაძემ მოიგერია.

**47.** თევდორაძეს ბურთი გაუვარდა, ფიფიამ და ჭელიძემ დამატებაზე ვერ ივარგეს.

**54.** ჭანტურიამ გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე დასარტყამ პოზიციაზე გაიყვანა, ამ უკანასკნელის დარტყმისგან კარი "მერანის" მცველმა იხსნა.

**67.** გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე ბურთს მეტოქე მცველის უხეში შეცდომის წყალობით დაეუფლა და მეკარესთან პირისპირაც გავიდა, მაგრამ თევდორაძეს ვერ აჯობა.

**70.** იონანიძე ბურთს პირველად შეეხო და მეტოქის კარს მცირედით ააცილა.

**88.** კესანის ჩაწოდებულს იონანიძის არაზუსტი თავური მოჰყვა.

**90.** 0:1 ჭანტურიამ ბურთი მასპინძელთა საჯარიმოში ჩაჰკიდა, ლონლაძემ თავით იონანიძეს დაუგდო, რომელმაც ახლო მანძილიდან გამარჯვების გოლი გაიტანა.

# მოსახდენი უბერებელმა მეგოლემ მოახდინა

არბიტრის მიერ დამატებული მეოთხე წუთი მიმდინარეობდა, "ზესტაფონის" ბოლო შეტევა მისმა მეკარემ რომ დაიწყო. **გრიგოლ ჭანტურიამ** მოედნის ცენტრიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც ყველას **შალვა ლონლაძემ** დაასწრო და **ზურაბ იონანიძე** მოძებნა. მეკარე უძლური იყო, მცველის თავგანწირულ ნახტომს კი შედეგი არ გამოუღია და ფეროელებმა ხანგრძლივი ნერვიულობის შემდეგ, საპირველადგილო სამი ქულა მიითვალეს.

"ზესტაფონში" თავდამსხმელები მოდიან და მიდიან, "იონა" კი კვლავ შეუცვლელია. ბოლო დროს ძირითადში იშვიათად ხვდება, მაგრამ შეცვლაზე ხშირად ათამაშებენ და მისი კლასის ხარჯზე გუნდმა ამ სეზონშიც არაერთი ქულა მოიპოვა. არადა, შეგახსენებთ, სულ ცოტა ხნის წინათ "ზესტაფონის" ხელმძღვანელობამ ვეტერანი მეგოლე "ჩამოწერა" და ტრანსფერზე დააყენა, მაგრამ მათთვის საბედნიეროდ, კლუბის შეფები დროულად მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და იონანიძე დააბრუნეს.

მატჩის საკვანძო მომენტამდე ორი განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. "მერანმა" ორივე ნახევარში ერთფეროვნად და ბანალურად, აშკარად ფრეზე ორიენტირებულმა ითამაშა, "ზესტაფონს" კი თუკი შესვენებამდე ბევრი არაფერი გამოუვიდა, მეორე ტაიმში იოლად მოახვია მეტოქეს საკუთარი თამაში და მის ფეხბურთელებს შეტევაში უფრო მეტი შნო რომ გამოეჩინათ, საქმე ამხელა ვნებათაღელვამდე არ მივიდოდა.



ზურაბ იონანიძის გოლმა ზესტაფონი გაალიდერა

კარგად ითამაშა "მერანის" მეკარე თევდორაძემ, რომელმაც თავისი გუნდის კარი რამდენიმეჯერ იხსნა, გოლში კი ბრალი არ მიუძღვით. სხვა მერანელებს კი დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებიათ, შეტევაში საერთოდ არაფერი გამოსდიოდათ და დროის გაყვანას მოედანზე ხშირ-ხშირი წამოწოლითა და ექიმების ხმობით ცდილობდნენ.

"ზესტაფონმა" დამსახურებული გამარჯვება იზეიმა და ასევე დამსახურებულად სეზონში პირველად გალიდერდა. ქართული საფეხბურთო სამყარო 11 ნოემბრის მოლოდინშია, მახარაძე და კომპანია თბილისში კიდევ ერთხელ შეეცდებიან იმის დამტკიცებას, რომ ურთიერთშეხვედრებში "დინამოს" სამართლიანად სჯობიან.

**რჩეული**

**ზურაბ იონანიძე**

გამარჯვებაში "ზესტაფონის" ყველა წევრმა თავისი წვლილი შეიტანა, მაგრამ რომ არა იონანიძის მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა, ფეროელები აუტსაიდერთან დასანან ქულებს დაკარგავდნენ. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ მატჩის გმირად გამარჯვების გოლის ავტორი ვცანით.

ლევან **ჯანეზაშვილი**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჭირო დროს, საჭირო ადგილზე

**სპარტაკი-მესხეთი**

**0:2**

20.10. გორი. თ. ბურჯანაძე
150 მაყურებელი

0:1 ინასარიძე (44), 0:2 ინასარიძე (61)

სპარტაკი: კოდალაევი-ბახტურიძე, ქემოკლიძე, ხაჭიპერიძე, მამუკაშვილი (68. გოგოლაძე)-ხიდეშელი, ძარია, ჩირიკაშვილი, გოგოხია-დარბაიძე (80. მედოევი), ჯანელიძე (74. კეტაშვილი)

*სათადარიგოები: ქვილითაია, ტატაევი, კუპრეიშვილი, თექთურმანიძე*

მესხეთი: ძამუნაშვილი-ლეკიშვილი, ყვანია, ნადირაშვილი, ზ. ძამსაშვილი-ჩხეტიანი, მ. თაყაძე, თურმანიძე (80. კობესაშვილი), ინასარიძე (87. კევლიშვილი)-ლონლაძე (86. სუდაძე), გვირჯიშვილი

*სათადარიგოები: ციხელაშვილი, ვ. აკოფიანი, ჰ. აკოფიანი, კაიდარაშვილი*

გაფრთხილება: ნადირაშვილი (33), ლონლაძე (40), ჩხეტიანი (45), ხიდეშელი (56), ხაჭიპერაძე (79)

არბიტრი: ლ. სილაგავა

**5.** მიხეილ თაყაძის საჯარიმო დარტყმა მცირედით ცდება კარს.

**16.** მამუკაშვილმა ირაკლი ჩირიკაშვილი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა ამ უკანასკნელმაც მცირედით აცილა მოწინააღმდეგის კარს.

**28.** იმავე ჩირიკაშვილმა ამჯერად გიორგი ხიდეშელის პასს ვერ მოუნახა ზუსტი გაგრძელება.

**41.** პაატა გვირჯიშვილის შორიდან ძლიერად დარტყმული კოდალაევმა დიდი გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე.

**44.** 0:1 - გვირჯიშვილის ჩაწოდებისას, გამოსვლაზე შეცდა ბესიკ კოდალაევი, ერთ-ერთმა მესხმა ფეხბურთელმა ამაოდ სცადა გატანა, დამატებაზე კი ინასარიძემ გახსნა ანგარიში.

**53.** გიორგი ხიდეშელი ორ მცველს გასცდა, საჯარიმოშიც შეაღწია, თუმცა მეტად სახეირო პოზიციიდან მეტად არაზუსტად დაარტყა.

**61.** 0:2 - „მესხეთის" სწრაფი კონტრშეტევისას თაყაძემ ითამაშა კარგად, მაგრამ მისი დარტყმული კოდალაევმა მოიგერია, დამატებაზე კი ისევ ინასარიძემ იმარჯვა, დაასწრო მცველს და...

**87.** კეტაშვილმა ბურთი ახალციხელთა კარის გასწვრივ ჩააწოდა გამოსვლაზე გელა ძამსაშვილს გაუჭირდა მისი შორს მოგერიება, მაგრამ მასპინძელთა შორის არავინ აღმოჩნდა ამისთვის მზად, არადა, მეკარეს კარი უკვე დაკარგული ჰქონდა.

**89.** გიგა ყვანია გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ კოდალაევს ვერ აჯობა.

**90.** დაახლოებით 22 მეტრიდან ჩირიკაშვილის მიერ კარგად შესრულებული საჯარიმო დარტყმა გოლკიპერმა გააუვნებელჰყო.

თავიდანვე კარგად დაიწყო სადებიუტო სეზონი უმაღლესი ლიგის ამ ორივე ახალმა წევრმა. განსაკუთრებით გამოსარჩევი ახალციხელთა თამაშია. ცხინვალელები, განსხვავებით თავდაპირველი შედეგებისა, ბოლო ტურებში ვერ ირჯებიან სახარბიელოდ, ზედიზედ ოთხი მატჩი წააგეს, თანაც ისე, რომ ბურთი არ გაუტანიათ. „მესხეთს" პირველი ტურებიდან მოყოლებული, სტაბილურობა არ დაუკარგავს, გოლებიც გააქვს და მატჩებსაც იგებს.

„სპარტაკის" თავდამსხმელებს არც ამ შეხვედრაში გამოუჩენიათ თავი. მართალია, მათ არ ჰქონიათ უდავო საგოლე მომენტი, მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში ოდნავ უკეთ რომ ემოქმედათ, შეეძლოთ მოწინააღმდეგისთვის დიდი ხიფათი შეექმნათ და ეგებ გოლიც გაეტანათ. უწინდელთან შედარებით განსხვავებული დავალებები ჰქონდათ **კობა თედიაშვილის** ერთგვარ კოზირად ქცეულ ფლანგელ მოთამაშეებს **პაატა გვირჯიშვილსა და მიხელ თაყაძეს.** ისინი ძველებური სიხშირით არ აწუხებდნენ ფლანგური ჩაწოდებებით მეტოქე მცველებს, ვინაიდან ტრავმის გამო ამ ჩაწოდებების მთავარი ადრესატი, ცენტრალური თავდამსხმელი ალექსანდრე კაიდარაშვილი აკლდა „მესხეთს".

თავის მხრივ, „სპარტაკი" შუა ხაზის ერთ-ერთ ბურჯს, ახალგაზრდულ ნაკრებში მივლინებულ **თორნიკე თარხნიშვილს** მოისაკლისებდა. მიუხედავად ამისა, მასპინძლები **ირაკლი ჩირიკაშვილისა და ირაკლი ძარიას** დამსახურებით პირველ ტაიმში, დროის გარკვეულ მონაკვეთებში ახერხებდნენ მოედნის ცენტრში დომინანტობას. ეს დუეტი ურთიერთშეთანხმებულადაც ირჯებოდა და შეტევათა მეტოქის ნახევარზე გადატანისას უმეტეს შემთხვევაში სწორ გაგრძელებასაც პოულობდა. თანაგუნდელი თავდამსხმელების უშედეგო გარჯის შემყურე ძარიამ და ჩირიკაშვილმა (და არა მხოლოდ მათ) თავად გადაწყვიტეს **გელა ძამუნაშვილის** კარის ასაღებად ბრძოლა. ჩირიკაშვილი ორჯერ ახლოსაც იყო მიზანთან, სხვათა შორის, ორჯერვე ნადირაშვილის შეცდომის შემდეგ, მაგრამ...სამაგიეროდ მეკარის შეცდომის შედეგად მიცემული შანსი კარგად შეირგეს სტუმრებმა და შესვენებამდე რამდენიმე წამით ადრე დაწინაურდნენ.

თუ პირველ ტაიმში ცხინვალელებს დიდი ოფლისღვრა დასჭირდათ მცირე ტერიტორიული უპირატესობის მოსაპოვებლად. შესვენების შემდეგ სტუმრებს ამ მხრივ წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. ისინი, პირველ ყოვლისა, საკუთარი კარის უსაფრთხოებასა და ეფექტურ კონტრშეტევებზე ზრუნავდნენ. ზუსტად ამ თამაშით მესხებმა მეორედაც აიღეს მოწინააღმდეგის კარი.

სანახაობრივი თვალსაზრისით, ნაკლებად მიმზიდველმა შეხვედრამ სახიფათო მომენტები მეორე 45 წუთში უფრო მეტი დაიტია. მათგან უმეტესობა კი ბოლო წუთებში აღირიცხა. „სპარტაკს" მატჩი არ ეთმობოდა, ენერგიულად ცდილობდა ანგარიშში სხვაობის შეტანას, რასაც, ცხადია, ელოდა მოწინააღმდეგე და სათანადო ყურადღებით ირჯებოდა კობა ჟორჟიკაშვილის გუნდის მცდელობების აღსაკვეთად.

**მატჩის შემდეგ**

**კობა თედიაშვილი (მესხეთი):** „რთული თამაში იყო. ორივე გუნდმა თავდაუზოგავად ითამაშა. ჩემმა ფეხბურთელებმა დასახულ ამოცანას თავი კარგად გაართვეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს"

**კობა ჟორჟიკაშვილი (სპარტაკი):** „პირველი ბურთი მეკარის უხეში შეცდომით გაუშვით, დანაკარგის აღმოფხვრა, სამწუხაროდ, ველარ მოვახერხეთ, რაც, ისევე როგორც ზოგადად მარცხი, უფრო მეტად ჩვენი ფეხბურთელების გამოუცდელობის ბრალია"

**რჩეული**

**დავით ინასარიძე**

გამუდმებით ცდილობდა ყოფილიყო საჭირო დროს საჭირო ადგილზე, რითაც საკუთრივ დუბლი, გუნდს კი სამი ქულა გაუფორმა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 9 | 8 | 1 | 0 | 18-3 | 25 |
| 2. დინამო | 9 | 8 | 0 | 1 | 24-3 | 24 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 9 | 6 | 1 | 2 | 12-7 | 19 |
| 4. ბორჯომი | 9 | 5 | 2 | 2 | 12-6 | 17 |
| 5. მესხეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 12-9 | 17 |
| 6. ამერი | 9 | 5 | 0 | 4 | 17-10 | 15 |
| 7. მგლები | 9 | 5 | 0 | 4 | 10-8 | 15 |
| 8. ოლიმპი | 9 | 4 | 2 | 3 | 8-8 | 14 |
| 9. სიონი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-13 | 11 |
| 10. ლოკომოტივი | 9 | 3 | 0 | 6 | 7-14 | 9 |
| 11. სპარტაკი | 9 | 2 | 2 | 5 | 3-10 | 8 |
| 12. დილა | 9 | 1 | 1 | 7 | 7-18 | 4 |
| 13. მერანი | 9 | 1 | 0 | 8 | 3-20 | 3 |
| 14. ბათუმი | 9 | 0 | 1 | 8 | 2-18 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 6 |
| აკირემი (დინამო) | 5 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 5 |
| სპასოევიჩი ( დინამო) | 5 |
| შ. ჯიქია (ბორჯომი) | 5 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| რ. ჯიქია (ოლიმპი) | 5 |
| ჭელია (მგლები) | 5 |

**მომდევნო ტური**

**27 ოქტომბერი. შაბათი**

| | |
|---|---|
| 15:00 | მგლები-ამერი |
| 15:00 | დილა-ბორჯომი |
| 15:00 | მესხეთი-დინამო |

**28 ოქტომბერი. კვირა**

| | |
|---|---|
| 15:00 | ზესტაფონი-სპარტაკი |
| 15:00 | ვიტ ჯორჯია-ბათუმი |
| 15:00 | ლოკომოტივი-მერანი |
| 15:00 | ოლიმპი-სიონი |

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

# შოტლანდიას აზროვნებით მოვუგეთ!

## ლომაია არანაირ როლს აღარ თამაშობს, გოგუას კი ბოდიში აქვს მოსახდელი...



*პირველი გვერდიდან*

**- შოტლანდია ფიზიკურ ორთაბრძოლებში და ჟინითაც დავჩაგრეთ, არადა, მეტოქე სწორედ ბრძოლის ჟინით გამოირჩევა. სწორედ ეს არის შოტლანდიის ძლიერი მხარე...**

- აბსოლუტურად ყველა ქართველი ფეხბურთელი მოედანზე უდიდესი მოტივაციით გავიდა და თუ ვინმეს ეგონა, რომ ქართველებს ბრძოლა შოტლანდიელებზე ნაკლებად ეხერხებათ, ეს თამაში აზრს შეუცვლიდა. მე არ ვფიქრობ, რომ მეტოქე მხოლოდ ჟინით დავჯაბნეთ, შოტლანდიას ჩვენ აზროვნებით ვაჯობეთ. ეს იყო ის ფეხბურთი, რასაც მე ფეხბურთს ვეძახი. დაცვაში კომპაქტურად ვიდექით, ასათიანმა საერთოდ აპოგეას მიაღწია, წინ კი ფეხბურთს ვთამაშობდით.

**- გერმანელმა მიმომხილველებმა პარალელები გაავლეს: ეს ის ფეხბურთი იყო, რის გამოც ტოპმიოლერი ლევერკუზენში უყვარდათ, ის ფეხბურთი იყო, რითაც ამ მწვრთნელმა "ბაიერი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანაო...**

- დიახ, ეს ასეა. და იმისთვის, რომ საქართველოს ნაკრებმა მუდმივად ასეთი ფეხბურთი აჩვენოს, მე მჭირდება ფეხბურთელები, რომლებიც 90 წუთის განმავლობაში თავს დადებენ, პირველიდან ბოლო წუთამდე იბრძოლებენ და რაც მთავარია, ფეხბურთს ითამაშებენ, იმ ფეხბურთს, რასაც მე ფეხბურთს ვეძახი. შოტლანდიასთან ეს ასე იყო.

**- ანუ, ბიჭებმა თქვენი დავალებები პირნათლად შეასრულეს?**

- დიახ.

**- ადრე ასე არ იყო?**

- არა! პირველად მოხდა ისე, რომ ჩემი დავალებები აბსოლუტურად ყველა მოთამაშემ 100 პროცენტით შეასრულა. ადრე ამას მხოლოდ ნაწილი ახერხებდა, შოტლანდიასთან კი ყოველი მათგანით კმაყოფილი დავრჩი. ეს იყო ბირთვი, რომელიც პირველიდან ბოლო წუთამდე გამომყვა. ნებისმიერ მწვრთნელს სჭირდება დრო იმისათვის, რომ იპოვოს ბირთვი, რომელზეც იტყვის, რომ ეს მისი ფილოსოფიისთვის ზედგამოჭრილი ბირთვია. თითქმის ორი წელიწადია, რაც საქართველოში ვმუშაობ და დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ბირთვი ნაპოვნია. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ფეხბურთელები, რომლებიც იტალიისა და შოტლანდიისთვის შევკრიბე, ყოველმხრივ სრულ მზადყოფნაში იყვნენ.

**- გერმანიიდან თუ მოგილოცეს?**

- რა თქმა უნდა. მატჩის შემდეგ ჩემი მობილური ტელეფონი არ გაჩერებულა. პირველ რიგში იმას მილოცავდნენ, რომ საქართველოს ნაკრებმა დამსახურებულად გაიმარჯვა. ანუ, ეს არ იყო სენსაციური მოგება, როცა თამაშით, გამარჯვებას მეტოქე იმსახურებს, არ უმართლებს, შენ კი მოულოდნელად გაიტან და ასე მოიგებ. არა, ეს იყო აბსოლუტურად დამსახურებული გამარჯვება და ჩემი გერმანელი კოლეგებიც ამას აღნიშნავდნენ.

**- მოკლედ, იტალიას საქმე გავუადვილეთ...**

- მე არ ვიცი და არ მაინტერესებს, გავუადვილეთ თუ არა იტალიას საქმე, მთავარია, რომ ამ მოგებით მთელმა ქვეყანამ გაიხარა. ჩვენ ვერაფერი მოვუხერხეთ საფრანგეთსა და იტალიას, ვერ დავამარცხეთ უკრაინა. ფაქტი იყო, რომ შოტლანდია უნდა დაგვემარცხებინა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო რწმენისთვის. თორემ მხოლოდ ფარერების დამარცხება და ლიტვასთან ბოლო თამაშის მოგება ბიჭებს რწმენას ვერ შემატებდა. ის, რომ ლიტვას საკუთარ მოედანზე აუცილებლად უნდა მოვუგოთ, ხოლო ფარერებისთვის კი 6 ქულა უნდა აგვერთმია, ჯერ კიდევ მაშინ იყო ცნობილი, როცა წილისყრამ ჯგუფში ამ გუნდებს შეგვახვედრა.

**- მას მერე, რაც საქართველოს ნაკრების დამრიგებელი ხართ, ჩვენმა გუნდმა სამი ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვა: ურუგვაისთან, თურქეთთან და ახლა შოტლანდიასთან. აღსანიშნავია, რომ სამივე მატჩში გვაკლდნენ წამყვანი ფეხბურთელები. მუდმივად მეორე შემადგენლობით ხომ არ ვითამაშოთ?**

- (იცინის) რა თქმა უნდა, არა. ახალგაზრდები მხოლოდ მაშინ თამაშობენ კარგად, როცა მათ ზურგს ისეთი ფეხბურთელები უმაგრებენ, როგორებიც არიან ასათიანი და ხიზანიშვილი, როცა მათ გვერდით კობიაშვილიც იქნება, ისინი უფრო დიდი აღმაფრენით იასპარეზებენ. შესანიშნავი მატჩი ჩაატარეს კანკავამ და მენთეშაშვილმა და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯაბაც ძალიან ახალგაზრდაა. მაგრამ კანკავამ ისე ითამაშა, როგორც ძალიან გამოცდილმა და მრავლისმნახველმა საყრდენმა ნახევარმცველმა. არ მახსოვს, რომ ოდესმე საყრდენს ამაზე უკეთესი თამაში ჩაეტარებინოს. გამოცდილებმა პატარები უნდა აიყოლიონ და უნდა გაუძლვნენ მათ. საბოლოოდ კი, იდეალური სინთეზი უნდა გამოგვივიდეს. მაგალითად, ნორვეგიასთან 19-წლამდელთა ნაკრების მატჩში გამოჩნდა, რომ მჭედლიძე და ყენია სხვებზე ერთი თავით მაღლა დგანან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუშაობა უნდა შეწყვიტონ. არაფრისდიდებით! მჭედლიძემ და ყენიამ საკუთარ თავზე უნდა იმუშაონ. მხოლოდ ასე გააგრძელებენ პროგრესს და მხოლოდ ასე ჩამოყალიბდებიან მაღალი დონის ფეხბურთელებად.

**- კობის, ცქიტოს, დემესა და სხვებს ხომ არ უნდა ეშინოდეთ იმის, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაკარგავენ?**

- რატომაც არა? კონკურენცია შესანიშნავი რამაა! უამრავი მაგალითები არსებობს იმისა, რომ როდესაც ფეხბურთელმა იცის, რომ სასტარტო შემადგენლობაში თამაში განაღდებული აქვს, 100 პროცენტით აღარ იხარჯება. შესაძლოა, ეს თვითონაც არ უნდოდეს, მაგრამ ეს მარტივი ფსიქოლოგიაა: როცა დანაყრებული ხარ, საჭმელზე არ ზრუნავ, როცა კონკურენტი არ გყავს, ქვეცნობიერად მაინც ბოლომდე აღარ იხარჯები. "მე ხომ ისედაც ვითამაშებ!" - ასე არცერთმა ფეხბურთელმა არ უნდა იფიქროს. კონკურენცია ყველამ უნდა იგრძნოს და მხოლოდ მაშინ გვეყოლება კონკურენტუნარიანი გუნდი.

**- გიორგი ლომაიას საერთოდ გადაუსვით ხაზი თუ...**

- ამ ეტაპზე ლომაია ჩემთვის არანაირ როლს არ თამაშობს.

**- ანუ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაკრების პირველი მეკარე მაკარიძეა?**

- მასთან ერთად, დიდ იმედს ვამყარებ როინ კვასხვაძეზეც.

**- წინა ინტერვიუში განაცხადეთ, რომ გოგუა აღარ არის დასჯილი და რომ მისი გამოძახება გსურდათ, მაგრამ ფედერაციიდან გაცნობეს, რომ გოგუამ ტრავმის გამო უარი თქვა ჩამოსვლაზე. იძულებულები ვართ, რომ ამ თემას კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ, რადგან ფეხბურთელმა განაცხადა, ტრავმირებული არ ვარ და თბილისიდან არავინ დამკავშირებიაო...**

- ახალს ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გოგუა ძველებურად გუნდის წევრია, თუკი ის ჯანმრთელად და კარგ ფორმაში იქნება. და კიდევ ერთი რამ: გოგუამ ბოდიში უნდა მომიხადოს მეც და მთელ გუნდსაც.

**- რის გამო?**

- იმის გამო, რაც შოტლანდიაში მოხდა.

**- იქნებ გვითხრათ, რა მოხდა შოტლანდიაში?**

- მაპატიეთ, მაგრამ გუნდის შიდა ამბებზე საჯაროდ არ ვისაუბრებ. მან იცის, რომ ბოდიში აქვს მოსახდელი, რაც ჯერ არ გაუკეთებია.

**გოტფრიდ ლენცი**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# გვყავს შემსრულებლები, მაგრამ არ გვყავს გუნდი

**საქართველო-ნორვეგია**
**0:1**
20.10. თბილისი. მ. მესხი
1000 მაყურებელი

0:1 ბენდიკსენი (48)
საქართველო: კვასხვაძე-ბენაშვილი, ვაჩიბერაძე (85. შეყილაძე), ხუმარაშვილი, გაბუნია (73. ბეგლარიშვილი)-თარგამაძე, ჩარგეიშვილი, ბლაგიძე (63. დაუშვილი), მჭედლიძე-ყენია-ივანიშვილი.
*სათადარიგოები: მაკარიძე, თარხნიშვილი.*
ნორვეგია: სტუბჰაუგი-ნური, ჰოფლანდი, ლარსენ, ფლო-ჰოილანდი (60. ვალო), ელვესტადი, კარლსენი (89. ბოლდტი), ბენდიკსენი-აასი (46. ანდერსენი), ხალილი.
*სათადარიგოები: ჰანსენი, რამსტადი, ჰენრიკსენი, კამარა*
გაფრთხილება: ყენია (5), ჰოილანდი (5), ბლაგიძე (7), მჭედლიძე (44), დაუშვილი (81).
არბიტრი: ა. სტავრევი (მაკედონია).

ნუგზარ სუარიძის ფოტო



სამწუხაროდ, მიზანს ვერ მივაღწიეთ - საქართველოს 19-წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე ჯგუფში ჩარჩა! ასე რომ, არ გამართლდა ჩვენი ნაკრების გერმანელი მწვრთნელის **ჰაინც ტოპმიოლერის** ოპტიმიზმი - ნორვეგიასთან უმნიშვნელოვანესი მატჩი გვაქვს და აუცილებლად უნდა მოვიგოთო. მოკლედ, ნორვეგიელებთან მატჩის წინ ისეთი სატურნირო სიტუაცია იყო შექმნილი, რომ ჯგუფიდან გასასვლელად მხოლოდ მოგება გვჭირდებოდა. შემადგენლობაც ისეთი ჰყავდა ტოპმიოლერს, შეტევაზე რომ იყო გათვლილი: ცენტრფორვარდ **გიორგი ივანიშვილის** ოდნავ უკან **ლევან ყენია** თამაშობდა, ხოლო ფლანგებზე **დავით თარგამაძე** და **ლევან მჭედლიძე**. ეს ორი უკანასკნელი პირველი ტაიმის განმავლობაში ხშირად ცვლიდნენ ფლანგებს და აქტიურადაც ირჯებოდნენ. თუმცა თავდაპირველად, სახიფათო მომენტები ჩვენს კართან შეიქმნა, მაგრამ კვლავაც საიმედოდ მოთამაშე **როინ კვასხვაძემ** ჯერ სტუმართა კაპიტან **პერ-ეგილ ფლოს** დარტყმა მოიგერია, მერე კი - **მარტინ ელვესტადის**. ამის მერე კი ერთობ ლამაზი და დასამახსოვრებელი 15-წუთიანი მონაკვეთი იყო, როდესაც ჩვენს ჭაბუკებს მოედანზე თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ და მეტოქის კართანაც მომენტს მომენტზე ქმნიდნენ. ჯერ ივანიშვილი-თარგამაძე-ყენიას ლამაზი სამსვლიანი კომბინაცია იყო, როდესაც ბურთი გარედან მოხვდა მეტოქის კარის ბადეს; ამას ივანიშვილის აქტიურობა მოჰყვა და "ციურიხის" ფორვარდი მეტოქის საჯარიმოში აღმოჩნდა, მაგრამ ნორვეგიელთა მეკარემ **ლარს სტუბჰაუგმა** იყოჩაღა. ივანიშვილი არც მერე გაჩერებულა და გოლის გატანის ჩინებული შანსიც კიდევ ორჯერ ჰქონდა; თანაც, ორივეჯერ დასარტყამ პოზიციაზე მჭედლიძის გონივრული პასების შემდეგ დარჩა, მაგრამ ერთ ეპიზოდში კვლავაც სტუბჰაუგმა ივარგა, მეორედ კი ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. საერთოდაც, ლევან მჭედლიძემ თითქმის ყველა საჰაერო "დუელი" მოიგო და, ალბათ, უპრიანი იქნებოდა პირველ ტაიმშივე ცენტრფორვარდის პოზიციაზე ეთამაშა და არა - ფლანგზე. თუმცა "ემპოლის" უნივერსალი ფეხბურთელი ამ ამპლუაშიც ჩინებულად გამოიყურებოდა და ერთი ჩინებული რეიდიც მოაწყო, მაგრამ მის ფლანგურ გარღვევას კვლავაც ნორვეგიელთა მეკარე აღუდგა. ამის მერე ჩვენები, ცოტა არ იყოს, მოეშვნენ და ტაიმის ბოლომდე მეტოქე აღარც შეუწუხებიათ; მაშინ, როცა ნორვეგიელებმა ორი სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს და ორივეჯერ კვასხვაძის რეაქციამ გვიხსნა.

მეორე ტაიმში ჩვენს ნაკრებში ტაქტიკური გადაადგილებები მოხდა: ივანიშვილმა ფლანგზე გადაინაცვლა, მჭედლიძე კი ცენტრფორვარდის პოზიციაზე გამწესდა. სამწუხაროდ, მალე შეხვედრის ის ერთადერთი გოლიც ვიხილეთ - ჩვენი დაცვის მარცხენა ფლანგზე მორიგი შეცდომა **თომას ბენდიქსენმა** არ გვაპატია და ზუსტი დარტყმით კვასხვაძეს შანსი არ დაუტოვა. ამ გოლმა ჩვენების მდგომარეობა უფრო დაამძიმა და ჰაინც ტოპმოილერი შეცვლებით შეეცადა თამაშში გარდატეხის შეტანას: **მურთაზ დაუშვილის** მოედანზე შემოსვლის მერე ჩვენი კაპიტანი **ალექსი ბენაშვილი** თავის ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა, მატჩის ბოლოსკენ კი უკვე სამი მცველით ვთამაშობდით, მაგრამ ვერც ამან გვიშველა. არადა, კიდევ გვქონდა რამდენიმე მომენტი და თითქმის ყველა შემთხვევაში ლევან ყენია იყო ყურადღების ცენტრში. აწ უკვე "შალკეს" ფეხბურთელმა თავისი საფირმო პასებით ჯერ მჭედლიძე გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე, მერე - ივანიშვილი, ერთხელ თვითონაც სახიფათო ჯარიმა შეასრულა, მაგრამ...

...მოკლედ, ჯგუფში ჩავრჩით და შემდეგ ეტაპზე ვერ გავედით. რა თქმა უნდა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნორვეგიელებთან მატჩში საკადრო პრობლემები გვქონდა (ტრავმირებულ **ამირან სანაიასა** და დისკვალიფიცირებულ **ნიკოლოზ მაისურაძის** არყოფნას ვგულისხმობთ); ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ჰოლანდიელ და ნორვეგიელ თანატოლებთან დავმარცხდით და არა - საშუალო დონის გუნდებთან; მაგრამ, ვერანაირ გამართლებას ვერ მოვუძებნით იმ ფაქტს, რომ ჩვენმა ჭაბუკებმა ორ მატჩში ერთი წითელი და რვა ყვითელი ბარათი მიიღეს! ამასთან, გარკვეული კითხვები გაჩნდა, საერთოდ, ნაკრების დაკომპლექტებასთან დაკავშირებითაც. ყოველ შემთხვევაში, იგივე ნორვეგიასთან მატჩში ჩვენს ფეხბურთელთა ოსტატობაში აშკარად დიდი სხვაობა ჩანდა; განსაკუთრებით კი დაცვაში მოვიკოჭლებდით და ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, ჰოლანდიელებმა და ნორვეგიელებმა არაერთი მომენტი (განსაკუთრებით ჩვენ მარცხენა ფლანგზე) რომ შეგვიქმნეს.

და მაინც, საქართველოს 19-წლამდე ნაკრებში 3-4 ისეთი ჭაბუკი თამაშობდა, ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელი იმედი რომ უნდა გახდეს. თანაც, ამ შემთხვევაში, დაკონკრეტება უადგილოდ გვეჩვენება...

**გია ტუხაშვილი**

**ჰოლანდია-ლატვია**
**2:0**
20.10. რუსთავი. ფოლადი
100 მაყურებელი

ამ გამარჯვებით ჰოლანდიისა და ნორვეგიის ნაკრებებმა მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ფუტზალი. ამხანაგური მატჩი

## ფრანგებთან დავმარცხდით

ფუტზალში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა საფრანგეთში ორი ამხანაგური მატჩი გამართა. სამწუხაროდ, ჩვენმა გუნდმა ორივე თამაში წააგო, ერთნაირი ანგარიშით 3:5. პირველ შეხვედრაში **ასათიანმა** დუბლი მიითვალა, ერთიც **ნეფარიძემ** შეაგდო. მეორე შეხვედრაში კი თითო გოლი ასათიანმა ნეფარიძემ და **ბოკერიამ** გაიტანეს.

შეგახსენებთ, რომ ფრანგებთან ჩვენმა ნაკრებმა შარშან, შემოდგომაზე, თბილისშიც გამართა ორი ამხანაგური შეხვედრა. პირველი მატჩი ქართველებმა 4:0 მოიგეს, მეორე შეხვედრა კი ფრედ 1:1 დასრულდა.

**დავით ცაბაძე**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონი

# ყველა მწყობრშია

**სანაკრებო ბატალიების შემდეგ ეროვნულ გუნდს ტრავმების გამო დაკლებულმა ყველა ფეხბურთელმა (ლევან კობიაშვილის გარდა) საკლუბო ბრძოლებისთვის მორჩენა დროულად მოასწრო. კახა კალაძე "მილანის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მეორე ტაიმში "ბებერი" პაოლო მალდინი შეცვალა. სამწუხაროა, რომ მან გამოჯანმრთელება მხოლოდ შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ მოახერხა.**

**სათადარიგო იყო დავით მუჯირიც, მათე ღვინიანიძემ კი მეტისმეტად ენერგიული თამაშის გამო წითელი ბარათი დაიმსახურა.**

## ოთხიანი დაბადების დღეზე

ლევან კობიაშვილის ტრავმა მართლაც სერიოზულია, ასე რომ მას "ჰანზასთან" 1:1 დასრულებულ მატჩში არ უთამაშია. 63-ე წუთამდე მოედანზე იყო **ალექსანდრე იაშვილი**, რომელიც კარნელმა შეცვალა. "კარლსრუემ" "არმინიას" გოლი ვერ გაუტანა - 0:0. "კარლსრუე" 19 ქულით მეოთხეა, ხოლო "შალკე" 17 ქულით მეხუთეა. "შპორტალმა" ძალიან ცუდად შეაფასა იაშვილის თამაში - 5 ქულა.

მიუნხენში მოულოდნელად კიდევ ერთი ტრავმირებული ვიხილეთ, **მათე ღვინიანიძემ** "ფიურტთან" მატჩში მე-80 წუთამდე ითამაშა, მერე კი ძალიან უხეში თამაშისთვის გააძევეს, კაცნაკლულმა "მიუნხენმა" კიდევ ერთი გოლი გაუშვა და შინ, 60 ათასი ფანის გულის გასახეთქად 0:3 წააგო. მათე ღვინიანიძეს ყველაზე დაბალი შეფასება, 6 ქულა დაუწერეს. **ოთარ ხიზანეიშვილი** სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მისმა "ფრაიბურგმა" კი "ზანკტ პაული" 2:0 დაამარცხა. "ფრაიბურგი" 20 ქულით მეორეა, გამარჯვების შემთხვევაში "მიუნხენი" პირველ ადგილზე იქნებოდა, ახლა მეხუთეა.

"პადერბორნმა" შინ 2:2 ითამაშა ქართველთა "კარლ ცაისთან", თუმცა სტუმრების რიგებში ჩვენებურს არ უთამაშია, მხოლოდ **ილია კანდელაკი** იყო სათადარიგოთა სკამზე. **დავით სირაძე** გუშინ 26 წლის გახდა, ის მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩნდა. სირაძემ "შპორტალისგან" ოთხიანი მიიღო. "პადერბორნი" 4 ქულით ბოლოა, ხოლო "კარლ ცაისი" - ბოლოსწინა.

## არც თასზე ათამაშებენ

დანიაში მე-13 ტურში "ვიბორგი" ბოლოადგილოსან "ლუნგბიუს" ეწვია და 0:2 დამარცხდა. **გიორგი ფოფხაძემ** ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში ვერ მოიკიდა ფეხი, დანიაში ის განაცხადში ვერ მოხვდა. "ვიბორგს" 13 მატჩის შემდეგ მხოლოდ 10 ქულა აქვს. შერცხვა **გიორგი შაშიაშვილის** "შტურმი", რომელიც სტუმრად 1:4 დამარცხდა "ზალცბურგთან". "შტურმი" 21 ქულით მეშვიდე ადგილზეა. "შტურმს" გასამართლებლად ის რჩება, რომ კლუბს რამდენიმე ლიდერი აკლდა, მათ შორის შაშიაშვილი. შვეიცარიაში **სანდრო იაშვილის** "თუნმა" 1:0 მოუგო "შამს" და შემდეგ ეტაპზე გავიდა. სამწუხაროდ, სანდროს არ უთამაშია.

## ასათიანი რუსეთში ტრავმით დაბრუნდა

სამი ტურიც და რუსეთის პრემიერლიგა დასრულდება. **მალხაზ ასათიანის** "ლოკომოტივი" კარგა ხანია საჩემპიონო რბოლას ჩამოსცილდა, ბოლო ტურში რკინიგზელთა გუნდი წაგებას გადაურჩა, რადგან "ლუჩი" მეოთხე წუთიდან **ლევან გვაზავას** შორიდან გატანილი გოლის წყალობით იგებდა. გვაზავამ **მამინოვის** შეცდომით ისარგებლა, ბურთი მოედნის ცენტრში ჩაჭრა და შორეული დარტყმით აჯობა **ივან პელიცოლის**. თამაშის ბოლომდე ორივე ქართველი შეცვალეს. ლევანმა "ლუჩის" რიგებში პირველად გაიტანა გოლი. მატჩის შემდეგ გვაზავამ აღიარა, რომ დარტყმის მომენტში გაუმართლდა, ხოლო **ანატოლი ბიშოვეცმა** დაიჩივლა, ასათიანი ეროვნული ნაკრებიდან ტრავმიანი ჩამოვიდაო.

**ალექსანდრე ამისულაშვილს** ტრადიცია არც ამჯერად დაურღვევია - სტუმრად "ამკართან" 1:1 დასრულებულ მატჩში 90 წუთი ითამაშა. სამარაში "კრილია სოვეტოვმა" მნიშვნელოვანი მატჩი მოუგო "რუბინს". **დავით მუჯირი** მოედანზე 90-ე წუთზე შევიდა, სტუმართა რიგებში მხოლოდ **ლაშა სალუქვაძემ** ითამაშა, ისიც მხოლოდ პირველი ტაიმი. **ნუკრი რევიშვილი** ვარაუდობდა, რომ კარში ის დადგებოდა, მაგრამ ყაზანელთა კარში ისევ კოლინკო ვიხილეთ. "სატურნის" მთავარმა მწვრთნელმა **გაჯი გაჯიევმა გოგიტა გოგუა** არ ათამაშა "როსტოვის" წინააღმდეგ მატჩში, ქართველი სათადარიგო იყო.

ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ქართველთა გუნდებიდან ყველაზე უკეთ "სატურნი" თამაშობს - 44 ქულით მეხუთე ადგილზეა, "ლოკომოტივს" 40 ქულა აქვს და მეექვსეა. 31 ქულა აქვს "რუბინს", ყაზანელები მეცხრე ადგილზე არიან. სამი "ქართული" გუნდი კი პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძვის: ნალჩიკის "სპარტაკს" 30 ქულა აქვს, "კრილიასა" და "ლუჩს" - 29-29.

## უკრაინაში მოვიკოჭლებთ

ჯერჯერობით, უკრაინის ქართული ლეგიონი მოიკოჭლებს, უკვე ცამეტი ტურია გასული, ჩვენებს კი სულ ხუთი გოლი აქვთ გატანილი. არადა, ვიშა ლიგაში ოთხი ქართველი ფორვარდია და **ვასილ გიგიაძის** გარდა ყველა ნაკრების წევრად ითვლება.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო თამაში კიევში ვალერი ლობანოვსკის სახელობის სტადიონზე გაიმართა, სადაც "დინამომ" ოთხი ათასი გულშემატკივრის თვალწინ "ზაკარპატიეს" უმასპინძლა. მხოლოდ თამაშის წინ გაირკვა ქართველთა საკითხი, **კახა ალადაშვილს** ტრავმამ შეუშალა ხელი, ხოლო **ოთარ მარცვალაძეს** კიევის "დინამომ" ბოლო მომენტში დართო თამაშის ნება. მოგეხსენებათ, ოთარი "დინამოს" საკუთრებაა და "ზაკარპატიეში" იჯარის წესით თამაშობს. მატჩი "დინამომ" **დიოგო რინკონის** მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო - 1:0. მარცვალაძემ შეუცვლელად ითამაშა, თუმცა - პასიურად, მას კარის მიმართულებით ერთხელაც არ დაურტყამს. "ზაკარპატიე" ძალიან სუსტია - უჟგოროდის კლუბი 13 ქულით გასავარდნ ზონაში, ბოლოსწინა ადგილზეა.

ვასილ გიგიაძემ კვლავ ვერ მოახერხა სეზონში პირველი გოლის გატანა. "ზარიას" წინააღმდეგ ჩემპიონატის უდავო აუტსაიდერმა "ნეფტიანიკმა" შინ ფრეს მიაღწია, რითაც ქულათა მარაგი ექვსამდე შეივსო. ამჯერად, ვეტერან ქართველს 52-ე წუთამდე აცალეს, შემდეგ კი შეცვალეს. გიგიაძემ ორჯერ მოასწრო კარისკენ დარტყმა, ერთხელ კი სახიფათო ჩაწოდება. შეცვლის წინ ქართველს გოლის გატანის დიდებული საშუალება მიეცა, როდესაც კარამდე ხუთ მეტრში ბურთი მიუვიდა, თუმცა ვერც დამაჯერებლად დაარტყა და ვერც ჩააწოდა. სტუმართა რიგებში სასტარტოში უკვე ორმა ქართველმა ითამაშა, **ლადო ბურდულმა** და **გიორგი ციმაკურიძემ**. მატჩის 68-ე წუთზე ბურდულმა სახიფათოდ შეასრულა საჯარიმო, თუმცა მეკარემ და მცველმა ერთობლივი ძალებით ბურთი კუთხურზე მოიგერიეს, ერთ წუთში კი ის შეცვალეს. გიორგი ციმაკურიძემ პირველად ითამაშა "ზარიას" მაისურით თავიდან ბოლომდე. უკრაინელი ჟურნალისტების მტკიცებით, ის მშვიდი და საიმედო იყო. მართალია, ლუგანსკელები მე-11 ადგილზე არიან, მაგრამ ქულათა მწირი მარაგი (14 ქულა) მათ მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევს, გასავარდნ ზონას "ზარიას" მხოლოდ ქულა აშორებს.



ზურაბ ხიზანიშვილი

**დავით კვირკველიას** "მეტალურგი" შინ 0:2 დამარცხდა "ჩერნომორეცთან". ქართველმა 90 წუთი ითამაშა. ზაპოროჟიელთა გუნდი 15 ქულით მეათეა. **ჯაბა კანკავას** "დნიპრომ" 2:1 მოუგო "ტავრიას" და მეორე ადგილი (28 ქულა) შეინარჩუნა. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი 59-ე წუთზე გამოჩნდა, მან **ალექსანდრ გრიცაი** შეცვალა. მატჩისთვის დამატებულ წუთზე, კანკავას შეეძლო გოლის გატანა - საჯარიმოს მისადგომიდან მისი დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია, მერე კი ძელს მოხვდა.

## ხიზანიშვილის გვიანი დებიუტი

სერია A-ში **ლევან მჭედლიძის** "ემპოლიმ" სენსაცია მოახდინა - "მილანი" მისსავე მოედანზე 1:0 დაამარცხა. ლევანისთვის ჯერ ნაადრევია ძირითად გუნდში თამაში, ის საქართველოში იმყოფება და 19 წლამდელთა ნაკრებს ეხმარება. მცირე მოულოდნელობა მასპინძელთა ქართველთა მცველმა **კახა კალაძემ** შემოგვთავაზა, როცა მატჩის განაცხადში მისი გვარი ამოვიკითხეთ, შემდეგ კი 67-ე წუთზე **პაოლო მალდინი** შეცვალა. "დატასპორტმა" ქართველის გარჯა 6 ბალით შეაფასა.

საქართველოს ნაკრებში კარგი თამაში დაუფასდა **ზურაბ ხიზანიშვილს**. შოტლანდიასთან ახლადგამომცხვარი კაპიტნის თამაშს ალბათ მთელმა ბრიტანეთმა უყურა, **მარკ ჰიუზის** ჩათვლით. ასე შედგა წლევანდელ სეზონში ზურას პრემიერლიგური დებიუტი "რიდინგთან" მატჩში. ამაში ცოტათი ხელი **სტივენ უორნოკის** ტრავმამაც შეუწყო და ხიზანიშვილი 55-ე წუთზე მოედანზე გამოჩნდა. ზურამ მარჯვენა მცველის პოზიციაზე ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | |
| სერია A, VIII ტური | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-ემპოლი | 0:1 | 23 წთ. (შეცვლაზე) | 6 თ, 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა, VIII ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე-სევილია | 0:2 | ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა, X ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-რიდინგი | 4:2 | 35 წთ. (შეცვლაზე) | 1 თ, 0 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა, X ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ჰანზა-შალკე | 1:1 | ტრავმა | 4 თ, 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე-არმინია | 0:0 | 63 წთ. (შეცვალეს) | 9 თ, 0 გ. |
| II ბუნდესლიგა, X ტური | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-ფიურტი | 0:3 | 80 წუთი. გააძევეს | 10 თ, 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი-ზ. პაული | 2:0 | სათადარიგო | 1 თ, 0 გ. |
| დავით სირაძე | პადერბორნი-კარლ ცაისი | 2:2 | 34 წთ. (შეცვლაზე) | 6 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | პადერბორნი-კარლ ცაისი | 2:2 | სათადარიგო | 6 თ, 0 გ. |
| გიორგი ონიანი | პადერბორნი-კარლ ცაისი | 2:2 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | პადერბორნი-კარლ ცაისი | 2:2 | ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| რეგიონალლიგა, XI ტური | | | | |
| მიხეილ საჯაია | კიკერსი-როიტლინგენი | 1:1 | 6 წთ. (შეცვლაზე) | 5 თ, 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, XIII ტური | | | | |
| დავით კვირკველია | მეტალურგი ზ.-ჩერნომორეცი | 0:2 | 90 წუთი | 13 თ, 1 გ. |
| ლაშა ჯაკობია | ხარკივი-მეტალისტი | 0:2 | არ უთამაშია | 2 თ, 0 გ. |
| ვასილ გიგიაძე | ნეფტიანიკი-ზარია | 0:0 | 52 წთ. (შეცვალეს) | 13 თ, 0 გ. |
| ლადო ბურდული | ნეფტიანიკი-ზარია | 0:0 | 69 წთ. (შეცვალეს) | 13 თ, 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ნეფტიანიკი-ზარია | 0:0 | 90 წუთი | 2 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | კარპატი-არსენალი | 0:0 | 10 წთ. (შეცვლაზე) | 12 თ, 2 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო-ზაკარპატიე | 1:0 | 90 წუთი | 11 თ, 1 გ. |
| კახა ალადაშვილი | დინამო-ზაკარპატიე | 1:0 | ტრავმა | 6 თ, 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო-ტავრია | 2:1 | 31 წთ. (შეცვლაზე) | 11 თ, 1 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XV ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | ზალცბურგი-შტურმი | 4:1 | არ უთამაშია | 14 თ, 0 გ. |
| II ბუნდესლიგა, XII ტური | | | | |
| მირზა ბუალავა | გრატკორნი-აუსტრია ლ. | 3:1 | ტრავმა | 3 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, XIII ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ლუნგბიუ-ვიბორგი | 2:0 | არ უთამაშია | 6 თ, 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა, თასი | | | | |
| სანდრო იაშვილი | შამი-თუნი | 0:1 | არ უთამაშია | 7 თ, 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| სუპერლიგა, XXVII ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | როსტოვი-სატურნი | 1:3 | სათადარიგო | 12 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | კრილია სოვეტოვი-რუბინი | 3:0 | სათადარიგო | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | კრილია სოვეტოვი-რუბინი | 3:0 | 45 წთ. (შეცვალეს) | 12 თ, 1 გ. |
| დავით მუჯირი | კრილია სოვეტოვი-რუბინი | 3:0 | 1 წთ. (შეცვლაზე) | 23 თ, 6 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი-ლუჩი | 1:1 | 61 წთ. (შეცვალეს) | 13 თ, 1 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | ამკარი-სპარტაკი ნ. | 1:1 | 90 წუთი | 27 თ, 3 გ. |
| ლევან გვაზავა | ლოკომოტივი-ლუჩი | 1:1 | 85 წთ. (შეცვალეს), 1 გოლი | 21 თ, 1 გ. |

ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადება
არგენტინაში,
დიეგო მარადონას სამშობლოში

16, 17, 18, 19 წლის ასაკის ფეხბურთელების საყურადღებოდ!!!

მათ, ვისაც სურთ ჯერ აიმაღლონ ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონე არგენტინაში, და შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ იქაური საფეხბურთო კლუბებში, მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში. ფეხბურთელებს მოამზადებს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ამჟამად მწვრთნელი ედუარდო დელგადო.

მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. ამ პერიოდში ფეხბურთელებს ექნებათ ამხანაგური თამაშები, რომლის დროსა მათზე მოხდება დაკვირვება. სრულყოფილი მომზადების შემდეგ, ედუარდო დელგადო ფეხბურთელებს წარადგენს არგენტინის კლუბებში, სადაც გააგრძელებენ ოფიციალურ თამაშებს.

არგენტინის მხარე მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს. ასევე, არგენტინის ვიზების, მგზავრობის, მომზადებისა და ადგილზე ცხოვრების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მობრძანდით არგენტინის წარმომადგენელთან მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქუჩა თავისუფლების მოედანთან), ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ.

გასაუბრებისთვის მსურველები წინასწარ უნდა ჩაეწერონ არგენტინის წარმომადგენელთან, შემდეგ ტელეფონზე: 899 23 55 20.



ეროვნული ბიბლიოთეკა

### ევერტონი-ლივერპული 1:2

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, ლესკოტი, ფილ ნევილი, სტაბსი, იობო, არტეტა, ჟაგიელკა, ოსმანი, ანიჩებე (84. ბაინესი), იაკუბუ (77. მაკფადენი).

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ფინენი, ჰიიპია, ბენაიუნი (68. ბაბელი), ჯერარდი (71. ლუკასი), მასკერანო, რიისე, სისოკო (88. პენანტი), კუიტი, ვორონინი.

**გოლები:** 1:0 ჰიიპია (38-საკ.კარში), 1:1 კუიტი (54-პენ), 1:2 კუიტი (90-პენ).

**გაძევება:** ჰიბერტი (53. ევერტონი), ფილ ნევილი (90. ევერტონი).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 7(1)-17(7); **ჯარიმა:** 8-14; **კუთხური:** 9-6; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 40 049

### არსენალი-ბოლტონი 2:0

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, ებუე (62. როსიცკი), გალასი, სანია, კოლო ტურე, ფაბრეგასი, ფლამინი, გლები (89. დიაბი), ადებაიორი, ედუარდო (62. უოლკოტი).

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, მეიტე, ობრაიენი, ივან კამპო, რიკარდო გარდნერი, გუტრი (77. იანაკოპულოსი), მაკენი, ნოლანი, ობრაიენი, კევინ დევისი, დიუფი (68. ბრაატენი).

**გოლები:** 1:0 კოლო ტურე (68), 2:0 როსიცკი (80).

**გაფრთხილება:** 1-5; **დარტყმა:** 19(9)-1(0); **ჯარიმა:** 14-20; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 59 442

### ბლექბერნი-რედინგი 4:2

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ოოიერი, სამბა, უორნოკი (54. ხიზანიშვილი), ბენტლი, დევიდ დანი (66. პედერსენი), ემერტონი, თუგაი, სევიჯი, მაკარტი, სანტა კრუსი (77. დერბიშირი).

**რედინგი:** ჰანემანი, ბიკი (46. ლიტა), დაბერი, მერტი, შორი, სონკო, ფაე (64. დოილი), ჰარპერი, ჰანტი, როსენორი (46. გუნარსონი), კიტსონი.

**გოლები:** 1:0 მაკარტი (18), 2:0 სანტა კრუსი (22), 3:0 თუგაი (32), 3:1 დოილი (80), 4:1 მაკარტი (82-პენ), 4:2 დოილი (90).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 11(6)-13(7); **ჯარიმა:** 8-7; **კუთხური:** 4-9; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 19 425

### ფულჰემი-დერბი 0:0

**ფულჰემი:** ნიემი, ბეირდი, აარონ ჰიუზი, კონჩესკი, სტეფანოვიჩი, სტივენ დევისი (69. შონ დევისი), დემპსი, კი ჰიეონი (46. ბოკანეგრა), დენი მერფი, ბუაზა, დიომანსი კამარა (87. ჰილი).

**დერბი:** ბაივოტერი, კლოდ დევისი (43. ბარნესი), ლიკოკი (78. ჰოვარდი), მაკევილი, მიერსი, მური, ლიუისი, ოუკლი, პერსონი, ფეგანი, მილერი (70. ერნშო).

**გაძევება:** კონჩესკი (45. ფულჰემი)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 14(9)-13(9); **ჯარიმა:** 10-10; **კუთხური:** 6-8; **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 22 576

### მანჩესტერ სიტი-ბირმინგემი 1:0

**სიტი:** ჰარტი, კორლუკა, რიჩარდ დანი, გარიდო, რიჩარდსი, ელანო (89. ჟელსონი), ჰამანი, ირლანდი (80. ბოლი), მაიკლ ჯონსონი, მარტინ პეტროვი, მპენზა (65. სამარასი).

| 5. ინტერბლოკი | 14 | 5 | 3 | 6 | 20-17 | 18 |
| 6. მარიბორი | 14 | 5 | 3 | 6 | 23-22 | 18 |
| 7. ნაფტა | 14 | 4 | 6 | 4 | 18-26 | 18 |
| 8. პრიმორიე | 14 | 5 | 2 | 7 | 21-18 | 17 |
| 9. დრავა | 14 | 4 | 2 | 8 | 17-32 | 14 |
| 10. ფაქტორი | 14 | 1 | 1 | 12 | 13-42 | 4 |

## ბრაზილია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ბოტაფოგო-რესიფე | 3:1 |
| გოიაში-ფლუმინენსე | 5:3 |
| პალმეირასი-პარანა | 3:0 |
| ატ. მინეირო-ვასკო და გამა | 1:0 |
| ნაუტიკო-კორინთიანსი | 1:0 |
| სან პაულუ-კრუზეირო | 1:0 |
| ატ.პარანაენსე-ამერიკა | 2:0 |

## მექსიკა

XIII ტური

| | |
|---|---|
| ვერაკრუსი-მონტერეი | 3:1 |
| კრუს ასული-ხაგუარესი | 1:1 |
| სან ლუისი-პუმასი | 3:2 |
| გვადალახარა-ატლანტე | 1:1 |
| პაჩუკა-ამერიკა | 1:2 |
| ტიგრესი-ტეკოსი | 4:0 |
| ნეკაქსა-ატლასი | 2:4 |
| ტოლუკა-პუებლა | 2:0 |
| ს. ლაგუნა-მორელია | გვ. დასრულდა |

## აშშ

XXIX ტური

| | |
|---|---|
| დი სი იუნაიტედი-კოლამბუსი | 2:3 |
| დალასი-კანზას სიტი | 0:2 |
| კოლორადო-სოლტ ლეიკი | 0:1 |
| ჩივასი-ჰიუსტონი | 0:0 |
| ჩიკაგო-ლ. ანჯელესი | 1:0 |
| ტორონტო-ნ.ინგლენდ | გვ. დასრულდა |

## იაპონია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ოიტა-კაშივა | 2:1 |
| კობე-იოკოჰამა | 3:0 |
| ივატა-კაშიმა | 1:3 |
| იოკოჰამა მარინოსი-შიმიძუ | 0:2 |
| კავასაკი-ნიიგატა | 4:3 |
| ომიია-ჰიროშიმა | 1:0 |
| იჩიჰარა-ურავა | 2:4 |
| გამბა-კოფუ | 5:0 |
| ნაგოია-ტოკიო | 0:1 |

## ჩილე

X ტური

| | |
|---|---|
| კობრელოა-იტალიანო | 3:3 |
| უნ. კატოლიკა-უნ. ჩილე | 1:1 |
| კოკიმბო-უნ. ესპანიოლა | 1:3 |
| დ. კონსეპსიონი-პუერტო მონტი | 0:0 |
| მელიპილია-ევერტონი | 3:0 |
| სანტიაგო-ლა სერენა | 3:2 |
| ანტოფაგასტა-პალესტინო | 0:1 |
| კოლო კოლო-უნ. ჩილე | 2:2 |
| ლოტა-კობრესალი | გვ. დასრულდა |
| ნუბლენსე-ო'ჰიგინსი | გვ. დასრულდა |

## მუნდიალი 2010

აზია

| | |
|---|---|
| მონღოლეთი-ჩრ. კორეა | 1:4 |
| ტიმორ-ლესტე-ჰონგ კონგი | 2:3 |
| შრი ლანკა-კატარი | 0:1 |
| ჩინეთი-მიანმარი | 7:0 |
| ბაჰრეინი-მალაიზია | 4:1 |

## ურუგვაი

XI ტური

| | |
|---|---|
| ნასიონალი-დანუბიო | 0:2 |
| სენტრალი-რივერ პლეიტი | 3:1 |
| ტაკუარემბო-რამპლა | 1:0 |
| უონდერერსი-დეფენსორი | 1:2 |
| მირამარი-ბელა ვისტა | 1:0 |
| ფენიქსი-ხუვენტუდი | 0:0 |
| პენიაროლი-ლივერპული | 4:0 |
| პროგრესო-სერო | 1:1 |

## პორტუგალიის თასი

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| სპორტინგი-ფატიმა | 1:2 |
| ბენფიკა-სეტუბალი | 1:1 |
| პენაფიელი-ლეირია | 3:1 |
| პორტიმონენსე-ბეირა მარი | 1:0 |

ოქროს ბურთი 2007

# უკვე მსოფლიოს მასშტაბითა და კაკას თამადობით...

გუშინ "ფრანს ფუტბოლმა" იმ 50 ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა, რომელთაგან ერთ-ერთი, ნოემბრის ბოლოს, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდება. დიახ, პოპულარულმა გამოცემამ მასშტაბები გაზარდა. აქამდე ის ევროპის ნომერ პირველ მოთამაშეს ავლენდა, ახლა კი გამოკითხვაში მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტის ჟურნალისტები მიიღებენ მონაწილეობას და შესაბამისად, 50-კაციან სიაში, ამჯერზე, სამხრეთი და ჩრდილოეთი ამერიკის, აგრეთვე აზიის წარმომადგენლებიც მოხვდნენ. საყოველთაო მოსაზრებით, "ოქროს ბურთის" წლევანდელ ნომინაციაში გამარჯვების ყველა დიდი შანსი ბრაზილიის ნაკრებისა და "მილანის" ნახევარმცველ **კაკას** აქვს. ახლა კი "ფრანს ფუტბოლის" ჩამონათვალს გადავხედოთ:




კაკა ოქროს ბურთის ფავორიტია

**ფეხბურთელი კლუბი ქვეყანა**

| | |
|---|---|
| ერიკ აბიდალი (ბარსელონა/საფრანგეთი) | მიროსლავ კლოზე (ბაიერნი/გერმანია) |
| დანიელ ალვესი (სევილია/ბრაზილია) | იუნის მაჰმუდი (ალგარაფა/ერაყი) |
| დევიდ ბექჰემი (გალაქსი/ინგლისი) | პაოლო მალდინი (მილანი/იტალია) |
| დიმიტარ ბერბატოვი (ტოტენჰემი/ბულგ.) | ფლორან მალუდა (ჩელსი/საფრანგეთი) |
| ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი/იტალია) | ლიონელ მესი (ბარსელონა/არგენტინა) |
| ფაბიო კანავარო (რეალი/იტალია) | შუნსუკე ნაკამურა (სელტიკი/იაპონია) |
| იკერ კასილიასი (რეალი/ესპანეთი) | გილერმო ოჩოა (ამერიკა/მექსიკა) |
| პეტრ ჩეხი (ჩელსი/ჩეხეთი) | ანდრეა პირლო (მილანი/იტალია) |
| როჟერიო სენი (სან პაულუ/ბრაზილია) | რიკარდო კვარეშმა (პორტუ/პორტუგალია) |
| კრ. რონალდო (მანჩ. იუნ/პორტუგალია) | რაული (რეალი/ესპანეთი) |
| დეკუ (ბარსელონა/პორტუგალია) | ფრანკ რიბერი (ბაიერნი/საფრანგეთი) |
| მამადუ დიარა (რეალი/მალი) | ხუან რიკელმე (ვილიარეალი/არგენტინა) |
| დიეგო (ვერდერი/ბრაზილია) | რობინიო (რეალი/ბრაზილია) |
| დიდიე დროგბა (ჩელსი/კოტ დივუარი) | რონალდინიო (ბარსელონა/ბრაზილია) |
| მიკაელ ესიენი (ჩელსი/განა) | უეინ რუნი (მანჩესტერ იუნ/ინგლისი) |
| სამუელ ეტოო (ბარსელონა/კამერუნი) | პოლ სქოულზი (მანჩესტერ იუნ/ინგლისი) |
| სესკ ფაბრეგასი (არსენალი/ესპანეთი) | კლარენს ზეედორფი (მილანი/ჰოლანდია) |
| ჯენარო გატუზო (მილანი/იტალია) | კარლოს ტევესი (მანჩ. იუნ/არგენტინა) |
| სტივენ ჯერარდი (ლივერპული/ინგლისი) | ლუკა ტონი (ბაიერნი/იტალია) |
| რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნ/უელსი) | კოლო ტურე (არსენალი/კოტ დივუარი) |
| ტიერი ანრი (ბარსელონა/საფრანგეთი) | ფერნანდო ტორესი (ლივერპული/ესპან.) |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ინტერი/შვედეთი) | ფრანჩესკო ტოტი (რომა/იტალია) |
| ფილიპო ინძაგი (მილანი/იტალია) | რუუდ ვან ნისტელროი (რეალი/ჰოლანდია) |
| კაკა (მილანი/ბრაზილია) | რობინ ვან პერსი (არსენალი/ჰოლანდია) |
| ფრედერიკ კანუტე (სევილია/მალი) | დავიდ ვილია (ვალენსია/ესპანეთი) |

## უნგრეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| დიოშდიორი-ფეჰერვარი | 2:0 |
| ჰონვედი-დიორი | 2:2 |
| შიოფოკი-რეაკ | 1:0 |
| დებრეცენი-სოპრონი | 4:2 |
| კაპოშვარი-ვაშაში | 1:0 |
| უიპეშტი-პაკში | 3:1 |
| ზალაეგერსეგი-ტატაბანია | 4:1 |
| მტკ-ნირეძიჰაზა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დებრეცენი | 12 | 8 | 2 | 2 | 30-14 | 26 |
| 2. ჰონვედი | 12 | 8 | 2 | 2 | 26-14 | 26 |
| 3. უიპეშტი | 12 | 7 | 4 | 1 | 25-11 | 25 |
| 4. მტკ | 11 | 6 | 4 | 1 | 25-11 | 22 |
| 5. კაპოშვარი | 12 | 5 | 4 | 3 | 15-17 | 19 |
| 6. დიორი | 12 | 4 | 6 | 2 | 18-15 | 18 |
| 7. ნირეძიჰაზა | 11 | 5 | 3 | 3 | 10-9 | 18 |
| 8. ფეჰერვარი | 12 | 5 | 1 | 6 | 22-20 | 16 |
| 9. ზალაეგერსეგი | 12 | 5 | 3 | 4 | 24-19 | 15 |
| 10. ვაშაში | 12 | 3 | 4 | 5 | 14-20 | 13 |
| 11. რეაკ | 12 | 4 | 1 | 7 | 11-19 | 13 |
| 12. დიოშდიორი | 12 | 2 | 6 | 4 | 12-17 | 12 |
| 13. პაკში | 12 | 3 | 2 | 7 | 19-27 | 11 |
| 14. შიოფოკი | 12 | 2 | 4 | 6 | 14-18 | 10 |
| 15. სოპრონი | 12 | 2 | 4 | 6 | 9-19 | 10 |
| 16. ტატაბანია | 12 | 0 | 2 | 10 | 12-36 | 2 |

## უკრაინა

XIII ტური

| | |
|---|---|
| მეტალურგი (დ)-ვორსკლა | 0:0 |
| დინამო-ზაკარპატია | 1:0 |
| კრივბასი-შახტარი | 1:0 |
| მეტალურგი (ზ)-ჩერნომორეცი | 0:2 |
| ნაფტოვიკი-ზარია | 0:0 |
| დნიპრო-ტავრია | 2:1 |
| კარპატი-არსენალი | 0:0 |
| ხარკოვი-მეტალისტი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 13 | 11 | 1 | 1 | 31-8 | 34 |
| 2. დნიპრო | 13 | 9 | 1 | 3 | 24-14 | 28 |
| 3. დინამო | 13 | 8 | 3 | 2 | 24-13 | 27 |
| 4. მეტალისტი | 13 | 8 | 2 | 3 | 22-14 | 26 |
| 5. ჩერნომორეცი | 13 | 6 | 2 | 5 | 11-10 | 20 |
| 6. ტავრია | 13 | 5 | 2 | 6 | 14-21 | 17 |
| 7. მეტალურ (დ) | 13 | 3 | 7 | 3 | 16-15 | 16 |
| 8. კრივბასი | 13 | 5 | 1 | 7 | 17-20 | 16 |
| 9. არსენალი | 13 | 4 | 3 | 6 | 23-20 | 15 |
| 10. მეტალურ (ზ) | 13 | 4 | 3 | 6 | 11-15 | 15 |
| 11. ვორსკლა | 13 | 2 | 8 | 3 | 9-12 | 14 |
| 12. ზარია | 13 | 4 | 2 | 7 | 12-18 | 14 |
| 13. კარპატი | 13 | 3 | 4 | 6 | 11-17 | 13 |
| 14. ხარკოვი | 13 | 3 | 4 | 6 | 8-14 | 13 |
| 15. ზაკარპატია | 13 | 3 | 4 | 6 | 9-17 | 13 |
| 16. ნაფტოვიკი | 13 | 1 | 3 | 9 | 5-19 | 6 |

# მოურინიომ ინგლისი უარყო

**ჟოზე მოურინიო** ინგლისის ნაკრებში არ იმუშავებს. პორტუგალიელმა სპეციალისტმა ამის შესახებ თავად განაცხადა. ბრიტანული საბუკმეიქერო კანტორები მას უპირველეს ფავორიტად განიხილავენ. მოურინიოს საკლუბო ფეხბურთში დარჩენა სურს, მაგრამ თუ ნაკრებზე მიდგება საქმე, ის მხოლოდ და მხოლოდ პორტუგალიური ფედერაციის შეთავაზებას განიხილავს: *"სხვანაირად ვერ წარმომიდგენია. როგორ შეიძლება, უცხოური ნაკრები პორტუგალიის წინააღმდეგ სათამაშოდ მოვამზადო? ინგლისურ ფეხბურთს ვეთაყვანები. მე ის სიგიჟემდე მიყვარს, მაგრამ ჯერჯერობით, ინგლისში დაბრუნებას არ ვაპირებ. იქ ალბათ, მოგვიანებით ჩავალ და ისიც რომელიმე კლუბში სამუშაოდ. ნაკრები ჩემი კარიერის ბოლო ეტაპზე იქნება. კლუბსა და ნაკრებში მუშაობა ძალიან განსხვავებული ცნებებია. ნაკრების მწვრთნელობა იმათთვისაა, ვისაც ბევრი მუშაობა არ უყვარს."*

# სკოლარი პორტუგალიამაც დასაჯა

პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების თავკაცი **ლუიშ ფელიპე სკოლარი** 35 ათასი ევროთი დააჯარიმა. მწვრთნელს თანხის გადახდა სერბეთთან მატჩისას მომხდარი გახმაურებული ინციდენტის გამო მოუწევს. პორტუგალია სერბეთს სექტემბერში შეხვდა. თამაში ფრედ, 1:1 დასრულდა. ანგარიშით უკმაყოფილო სკოლარი მეტოქის მცველ **ივიცა დრაგუტინოვიჩს** ნაეჩხუბა. უფრო მეტიც, მას ხელი მოუღერა და ალიყური უთავაზა. სკოლარიმ მომხდარის გამო ბოდიში რამდენჯერმე მოიხადა, მაგრამ სინანულმა არ უშველა. უეფამ ის ოთხი მატჩით მოკვეთა, თუმცა მოგვიანებით დისკვალიფიკაცია სამ თამაშამდე შეუმცირა. სეუ ლუში ფელიპემ უკვე გამოტოვა აზერბაიჯანსა და ყაზახეთთან გასვლითი მატჩები. ნოემბერში ის სომხეთთან შეხვედრასაც ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს. უეფამ მას 20 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდაც დააკისრა. ეს 17 ათასი დოლარია.

# მოსკოვში 1982 წელი გაიხსენეს

ასობით რუსმა და ჰოლანდიელმა გულშემატკივარმა მოსკოვში 25 წლის წინათ დატრიალებული ტრაგედია გაიხსენა. ის 1982 წლის 20 ოქტომბერს, "სპარტაკისა" და "ჰაარლემის" უეფას თასის მატჩისას მოხდა. ლუჟნიკის ტრიბუნაზე ჭყლეტის შედეგად ოფიციალური მონაცემებით 66, არაოფიციალური მონაცემებით კი რამდენიმე ასეული ადამიანი დაიღუპა. სუსხიანი დღე იყო. სტადიონი სანახევროდაც კი არ შეივსო. ორგანიზატორებმა მასპინძელი ფანებისთვის მხოლოდ ერთი კარი გახსნეს. "სპარტაკს" 1:0 მიჰყავდა. თამაშის მიწურულს მაყურებელმა გასასვლელისკენ დაიწყო დენა. ამ დროს მოსკოველებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს. გასული ქომაგები უკან, შესასვლელ კარს მიაწყდნენ. ტრაგედიაც სწორედ მაშინ მოხდა. გაზეთებსა და ტელევიზიას მომხდარის შესახებ არაფერი უთქვამს. მოსკოვის ტრაგედია ბოლომდე შეუსწავლელი ინციდენტია. ასე რომ არ იყოს, მას "ჰილსბოროს" (1989, ჭყლეტა, 96 დაღუპული), "ეიზელისა" (1985, ტრიბუნის ჩანგრევა, 39 დაღუპული) და ლიმის (1964, არეულობა ტრიბუნაზე, 300 დაღუპული, ლიმის ამბები საფეხბურთო სტადიონებზე მომხდარ ყველაზე მასშტაბურ ტრაგედიადაა მიჩნეული) ტრაგედიების გვერდით დააყენებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

**21.10 სპორტის სასახლე**

I ტური

**დინამო-თსუ 64:78**

19:24; 14:17, 14:18, 17:19

დინამო: ჟღენტი (20 ქ), ლაფანაშვილი (9 ქ. 7 მ. 3 ჩ), სიგუა (2 ქ. 5 ფ), მაისურაძე (7 ქ), ათანელიშვილი (12 ქ. 14 მ. 7 შ), ახალკაცი (2 ქ. 6 შ), ფაიქრიძე (12 ქ. 5 ფ), დევიძე, ნანიტაშვილი, კუჭავა

თსუ: ფანჩულიძე (17 ქ), ჩიტაშვილი (13 ქ. 8 მ. 7 პ. 3 ჩ), მათიაშვილი (11 ქ. 17 მ), კოხრეიძე (3 ჩ), ყველაშვილი (4 ქ. 5 მ. 5 ფ), ჯგერენაია (8 ქ), კეიდია (11 ქ), ხეცურიანი (14 ქ. 4 პ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ხ. გაბედავა

**ვითა-აზოტი 66:85**

21:15, 10:29, 21:23, 14:18

ვითა: ნ. ნოზაძე (5 ქ), ბეჟანიშვილი (13 ქ), მ. ბერიშვილი (27 ქ. 4 ჩ), მარხვაშვილი (4 ქ. 4 პ), მარკოიშვილი (9 ქ. 7 მ. 3 პ. 3 ჩ), ბერძენიშვილი (8 ქ. 9 მ), ლ. ნოზაძე, გვიმრაძე, ძიძიგური

აზოტი: გამყრელიძე (9 ქ. 6 მ. 6 პ. 5 ჩ), ბაბიაშვილი (12 ქ. 5 მ), სტეფანოვი (21 ქ. 5 მ), ა. ბოისა (5 ქ. 5 მ), დიდია (3 ქ), ლეჟავა (2 ქ. 6 მ), ცეკვავა (3 ქ), ფერგიუსონი (3 ქ. 6 მ. 3 დ), რივერსი (19 ბ), ჭოჭუა (8 ქ), გოგობერიშვილი

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ზ. არეშიძე

**მაკაბი-ავიამშენი 83:76**

19:15, 17:18, 19:20, 28:23

მაკაბი: დ. ბერიშვილი (7 ქ. 8 მ. 4 ჩ), ი. ბერიშვილი (25 ქ. 5 მ. 5 პ), სორდია (8 ქ), გ. შერმადინი (28 ქ. 18 მ. 4 დ. 8 შ. 5 ფ), ვაშაკიძე, კორკოტაძე (3 ქ), კოლუაშვილი (8 ქ), ს. შერმადინი (4 ქ. 5 ფ)

ავიამშენი: შანიძე (2 ქ), ხოშტარია (9 ქ. 3 პ. 4 ჩ), ნიკოლაძე (14 ქ. 6 მ. 3 ჩ), ტულუში (28 ქ. 7 მ), ნინიაშვილი (5 მ), როდუმტა (8 ქ. 7 მ. 3 ჩ. 5 ფ), სუხიშვილი (1 ქ), მინაშვილი (10 ქ. 8 მ), ბარბაქაძე (4 ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე

გუშინ ვერის ბაღში... არა, სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს მე-17 საკალათბურთო ჩემპიონატი. სუპერლიგის ხელმძღვანელებმა ყველაფერი იღონეს, რათა ახლადგარემონტებულ დარბაზში მისულ ხალხს კალათბურთის პარალელურად, არენაზე თავი კომფორტულად ეგრძნო.

დიდ შესვენებებზე მოედანზე ვიხილეთ ქართველი ტანმოვარჯიშე **ქეთი ხატიაშვილი,** ხალხური ცეკვების ანსამბლი "ივერია", მედოლეთა გუნდი და სპორტულად მოცეკვავე წყვილები.

წუთშესვენებისას კი ქომაგს სამბისტები ახალისებდნენ - ფერადი ლენტებით შეიარაღებული სამბას მოცეკვავეები. მცირე გახურების შემდეგ სპორტულ მხარეზეც გადავიდეთ. წლეულსაც ვაგრძელებთ შარშან დაწყებულ ტრადიციას და ყოველი ტურის მიმოხილვაში გამოვყოფთ ტურის საუკეთესო მოთამაშეს, მოვლენასა და საინტერესო ფრაზას.

საქართველოს ჩემპიონატი

# როჯერსი, რივერსი თუ სტეფანოვი? შერმადინი!

**ტურის კალათბურთელი. გიორგი შერმადინი.** მან წინა ჩემპიონატის სადებიუტო ტურში 40 ქულა ჩააგდო, მაგრამ ჟურნალისტებმა MVP-დ **გიორგი მარკოიშვილი** დაასახელეს. წელს შერმადინმა 28 ქულა ჩააგდო, თუმცა საუკეთესოდ ერთხმად აირჩიეს, რადგან ამჯერად მისმა "მაკაბიმ" ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი "ავიამშენი" დაამარცხა. გიორგიმ 36 წუთის განმავლობაში (37-ე წუთზე მეხუთე ფოლის გამო მოედანი დატოვა) ბევრი იშრომა, 28 ქულას 18 მოხსნა, 4 დაფარება, 2 პასი, 1 ჩაჭრა მიამატა და "ავიას" მეფარე როდუმტაც ხუთი ჯარიმით მოედნიდან ნაადრევად გაისტუმრა.

მაშინ, როცა შერმადინმა მეხუთე შენიშვნა მიიღო, "მაკაბი" 11 ქულით იგებდა (70:59), საფინალო სირენამდე კი 3 წუთი რჩებოდა. დარჩენილ დროში "ავიატორებმა" ბევრი იწვალეს, მაგრამ მიზანი ვერც ბოლოს გაისწორეს და 76:83 დამარცხდნენ.

**ტურის მოვლენა. როჯერსი თუ...** "აზოტის" და "ვითას" დაპირისპირების შემდეგ გაჩნდა კითხვა: რუსთაველთა ახალწვეული **ბელტონ რივერსი** 2001-02 წლებში "ბასკოში" მოთამაშეზე მაღალი კლასის კალათბურთელია თუ არა? ამ კითხვაზე პასუხს უნდა გაერკვია საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო რივერსია, თუ ისევ როჯერსი?

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ პასუხისგან თავის შეკავება ვამჯობინეთ, რადგან ბელტონს ფეხი აწუხებდა და მატჩის შემდეგაც თქვა - ტრავმა ახტომისას ხელს მიშლიდაო. თუმცაღა, მან პირველივე შეხვედრაში მოხიბლა ქართველი ქომაგი - დაკუნთულ-დასვირინგებული ტანდაბალი ამერიკელი ძლიერი ინდივიდუალისტი ჩანს, როცა მოინდომა ტრიალ-ტრიალით მეტოქის ფარქვეშ იოლად შევიდა. მას არც დაცვა დაეწუნება.

*"ერთი მატჩის მიხედვით ძნელია იმის თქმა, ბელტონ რივერსი საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო ლეგიონერია, თუ არა, მაგრამ ერთს კი ვიტყვი - იგი ძალიან გამოგვადგება. ამერიკიდან თბილისამდე ხანგრძლივი მგზავრობის გამო დაქანცულია და ძალების აღდგენისთვის დრო სჭირდება. მართალია, მას სამქულიანების ტყორცნის ცუდი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა, მაგრამ პირველი ვარჯიშის მიხედვით, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბელტონი მომდევნო მატჩებში სროლების პროცენტს ერთიორად გააუმჯობესებს. მინდა აღვნიშნო დაცვაში მისი დამაჯერებელი გარჯაც",* - ასე შეაფასა შეგირდი "აზოტის" თავკაცმა **დავით უსტიაშვილმა** და იქვე საინტერესო კითხვა დასვა: თუკი კლასზე საუბრობთ, როჯერსისა და რივერსის გვერდით სერბ **იოვან სტეფანოვს** რატომ ივიწყებთო?

ისევე როგორც დუდუ დადიანის თასის ფინალში გუშინდელ შეხვედრაში საუკეთესო სწორედ სტეფანოვი იყო, რომელიც სწრაფი, მაღალი ფორვარდია, მეტოქის მოედნის ყველა წერტილიდან კარგად ესვრის და დაცვაშიც არავის ატარებს. მწვრთნელმა მის გონივრულ თამაშს გაუსვა ხაზი. "ვითასთან" სერბმა რუსთაველთა შორის ყველაზე მეტი, 21 ქულა ჩააგდო, ხოლო მატჩის სნაიპერი ახალგაზრდა ვითელი **მიხეილ ბერიშვილი** გახდა - 27 ქულა (7-დან 6 სამქულიანი).

მაშინ, როცა დავით უსტიაშვილი შეცვლას შეცვლაზე აკეთებდა, მისი ვიზავი ზურაბ ტომარაძე იძულებული იყო გამოცდილ ხუთეულზე დაყრდნობილიყო და როცა ბეჟანიშვილი, მარკოიშვილი, ბერძენიშვილი, ნიკო ნოზაძე და მარხვაშვილი დაიღალნენ, "აზოტმა" სოლიდური უპირატესობა მოიპოვა, რაც ანგარიშის გარდა მოხსნების რაოდენობაშიც გამოიხატა: 46/33.

შეიძლება გაგიჩნდათ კითხვა - როგორი კალათბურთელია რუსთავის მესამე უცხოელი **ანვარ ფერგიუსონი?** ნამგზავრმა ამერიკელმა კამერუნელ როდუმტაზე უკეთ ვერ ითამაშა. იმედია, 30 ოქტომბრამდე გაიხსნება და "აზოტს" ამსტერდამთან მატჩში სათანადოდ დაეხმარება. ისე, როგორც ამბობენ, ანვარს საოცარი ნახტომი აქვს...

სხვათა შორის, გუშინდელი მატჩი რუსთაველთა მეტოქის, "ამსტერდამის" სკაუტებმა ვიდეოფირზე აღბეჭდეს.

**ჩემპიონატის** გახსნით მატჩში "დინამო" თსუ-სთან დამარცხდა. ორივე მხარე თითო ორმაგი დუბლით გამოირჩა: თსუ-ელმა რიჩარდ მათიაშვილმა 11 ქულა და 17 მოხსნა მიითვალა. დინამოელმა რეზო ათანელიშვილმა - 12 ქულა და 14 მოხსნა.

**ტურის ფრაზა.** "ვითა"-"აზოტის" მატჩის შემდეგ ზურაბ ტომარაძე დავით უსტიაშვილთან მივიდა - გამარჯვებასაც გილოცავ და თბილისობასაცო.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ნუგზარ სულხანიძის ფოტო

ვითა-აზოტი. მარცხნიდან: ბაბიაშვილი (5) გამყრელიძე და ნოზაძე

## ხელბურთი

# სერგოს პირადი რეკორდი

გერმანიის ბუნდესლიგაში მორიგი მატჩი გამართა **სერგო დათუკიშვილის** "ლიუბეკმა". ქართველის კარგი თამაშის მიუხედავად, მისი გუნდი სტუმრად "გროსვალშადტთან" 26:32 დამარცხდა.

სერგოს გარჯას ხაზი იმიტომ კი არ გავუსვით, რომ იგი ჩვენიანია - დათუკიშვილი ლიუბეკელთა რიგებში საუკეთესო იყო და შეხვედრის სნაიპერობაც არავის დაუთმო - 9 გოლი გაიტანა. ეს მაჩვენებელი გერმანიაში გადასვლის შემდეგ სერგოსთვის სარეკორდოა. აქამდე მას ერთ მატჩში 7 გოლი ჰქონდა გატანილი. ბუნდესლიგის ბომბარდირთა სიაში დათუკიშვილი მეექვსეა, 67 გოლით.

ასე და ამგვარად, სერგო ნაკრებში კარგი განწყობით ჩამოდის. მას თბილისში 24 ოქტომბერს ელიან.

**კობა ხატისაშვილი**




სერგო დათუკიშვილი

## თარიღი



**ანდრო ჟორდანია.** 22 10. 1904, ლანჩხუთი-25.04.1974, თბილისი. ფეხბურთი, ნახევარმცველი თამაშობდა თბილისის თსუ-სა (1922-24) და "დინამოში" (1925-28, 1930-31), დნეპროპეტროვსკის "დინამოში" (1929), ივანოვის "დინამოში" (1932-35), "სპარტაკსა" (1936-37) და "ოსნოვაში" (1938-40). იყო ივანოვოს "სპარტაკის" (1936-37), "ოსნოვას" (1938-41), "კრასნოე ზნამიას" (1952-54), თბილისის "დინამოს" (1945, 1946-47, 1955, 1959-61), თბილისის "სპარტაკის" (1948-51), ქუთაისის "ლოკომოტივის" (1957-58), თბილისის "ლოკომოტივის" (1962), ქუთაისის "ტორპედოსა" (1964-65) და ტყიბულის "მეშახტის" (1966-67) მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით თბილისის "დინამო" სამჯერ გახდა სსრკ ჩემპიონატების მესამე პრიზიორი, ორჯერ კი თასის გათამაშების ფინალში გავიდა. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი.

**გივი ბოსტოღანაშვილი.** დაიბადა 22.10.1937, თბილისი. ტყვიის სროლა. მწვრთნელი, მსაჯი. სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1980-90), საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი (1972-დან). მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ქალთა ნაკრების პნევმატური პისტოლეტის სროლაში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვა (2005). იმსაჯა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე (1980), მსოფლიოსა (1990) და ევროპის (1988) ჩემპიონატებზე. საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი (1991-დან). საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ღირსების ორდენის კავალერი.

**ზურაბ მჭედლიშვილი.** დაიბადა 22.10.1971, თბილისი. რაგბი, მეორე-მესამეხაზელი,საქართველოს ნაკრებში ითამაშა 45 მატჩი (11 - კაპიტნად, 4 ლელო). 2001 წლის ევროპის ერთა თასის მფლობელი (4 თამაში), 2003 (3 თამაში) და 2007 წლების (1 თამაში) მსოფლიოს თასების მონაწილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი — საქართველოს ჩემპიონატი

რუსთავის ავტოდრომი. წრიული რბოლა. VII ეტაპი

# დღის ვარსკვლავი: კლაუს ტოპმიოლერი

**არჩილ ბიძინაშვილმა** (ჰონდა სივიკი) კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სერიოზული და მიზანმიმართული, თანაც სწრაფი ავტომრბოლია. მან ჯერ კვალიფიკაციაში აჩვენა უსწრაფესი დრო - 1.53.49, მერე ორი 6-წრიანი რბოლაც პირველ ადგილზე დაასრულა და განაგრძნობს პაექრობას ჩემპიონის ტიტულისთვის აბსოლუტურ ჩათვლაში **მევლუდ მელაძესა** (ჰონდა სივიკი) და **ზურაბ ბეჟუაშვილთან** (ჰონდა სივიკი).

სტარტზე რეგისტრაცია თერთმეტმა მონაწილემ გაიარა. აი, ისინიც: **ოთარ თავართქილაძე** (ჰონდა სივიკი), **ზურაბ ბეჟაშვილი, ლევან კვინიკაძე** (ჰონდა სივიკი), **დათა ქაჯაია** (ჰონდა CRX), **სოსო დათიაშვილი** (BMW M3), **მევლუდ მელაძე, კახა ჩადუნელი** (ჰონდა სივიკი), **გიორგი ოგბაიძე** (ჰონდა სივიკი), **არჩილ ბიძინაშვილი, სანდრო ლომაძე** (ჰონდა RX), **არჩილ ჩიქოვანი** (სიტროენ საქსო).

იუნიორთა კლასში "სუძუკის" მოდელებით ასპარეზობდნენ **დიმა ქობულია, დავით მენთეშაშვილი** და **გიორგი კოდუა**. ორი რბოლის ჯამში გამარჯვება მენთეშაშვილს დარჩა, მეორე კოდუა იყო, მესამე - ქობულია.

რაც შეეხება პროფესიონალებს, მათთვის ერთობ უჩვეულო იყო რბოლა საათის ისრის მიმართულებით, თითქოს სხვა ტრასაზე გამოდიანო. ერთგვარმა სირთულეებმა ვერავინ შეაშინა, პირიქით, პაექრობა ორივე რბოლაში უფრო საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე რბოლის სტარტის შემდგომი მომენტი, როცა ჩადუნელმა და ჩიქოვანმა შეამჩნიეს, რომ ლომაძე მათ შორის "გაძრომას" აპირებდა, გზის შევიწროვება დაიწყეს. ამ დროს სიტუაციით ისარგებლა ბეჟაშვილმა, სწორედ იმ სივიწროვეში გაძვრა და წინ გავიდა, თუმცა შემდეგ ტექნიკურმა პრობლემებმა შეაწუხა და მეტოქეებს ჩამორჩა.

უცხოეთში, სპეციალურ სალამოებზე იციან ხოლმე საუკეთესო ადამიანის (The star of the day) დასახელება. სწორედ ეს "სთარ ოვ ზი დეი" გახლდათ ფეხბურთში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, **კლაუს ტოპმიოლერი** და ახალგაზრდული გუნდის თავკაცი **პეტერ სეგრტი**. მათ ყველაზე კარგად მომზადებული მანქანა ამოირჩიეს (ბიძინაშვილის) და ჯერ საქართველოს ავტოფედერაციის პრეზიდენტთან ერთად დაათვალიერეს ტრასა, შემდეგ კი თვით ტოპმიოლერი მიუჯდა საჭეს და ისეთი სიჩქარით დააქროლებდა მანქანას, რომ ყველა გაოგნებული დარჩა. ბიძინაშვილი წუხდა ემანდ უმანქანოდ არ დამტოვოსო, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

საბოლოოდ, ადგილები ასე განაწილდა:
**1. არჩილ ბიძინაშვილი; 2. ოთარ თავართქილაძე; 3. მევლუდ მელაძე; 4. ზურაბ ბეჟუაშვილი; 5. სანდრო ლომაძე; 6. დათა ქაჯაია; 7. არჩილ ჩიქოვანი; 8. ლევან კვინიკაძე.**

მომდევნო ეტაპი, კვლავ წრიულ რბოლაში, ორ კვირაში გაიმართება, ისევ რუსთავის ავტოდრომზე.

**დავით ჩუბინიძე**

ჩოგბურთი

## ნაგებული ფინალი

24 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (162) ფრანგულ სან რაფაელში მორიგ ტიტულთან ერთ ნაბიჯში იმყოფებოდა, თუმცა მან 50-ათასიანი ტურნირის წყვილთა თანრიგის ფინალი დათმო. მაკა სან რაფაელში 17 წლის ბელარუს **ქსენია მილევსკაიას** (342) შეუწყვილდა, რომელიც წელინადის დასაწყისში მსოფლიოს მეორე ჩოგანი იყო ახალგაზრდებში (ახლა მერვეა, რადგან უმთავრესად დიდებში თამაშობს). პირველ წრეში ჩახნაშვილმა და მილევსკაიამ ბერძნულ-იტალიური დუეტი (**კუმანტუ, კლერიკო**) დაამარცხეს - 6:1, 6:2. მეოთხედფინალში მათ დაძაბულ ბრძოლაში აჯობეს მე-4 ნომრად განთესილ წყვილს (**ბიჩკოვა, ვორაჩოვა**) - 7:6, 2:6, 11:9. სან რაფაელის ტურნირის ნახევარფინალში მაკამ და ქსენიამ მეორე ნომრად განთესილები, ბელარუსი **ეკატერინა ძეჰალევიჩი** და უკრაინელი **მარია კორიცევა** დაამარცხეს - 6:1, 6:3. ფინალში ქართულ-ბელარუსულმა გუნდმა რუს **ეკატერინა მაკაროვასთან** (118) და ამერიკელ **ლილია ოსტერლოსთან** (82) დათმო - 2:6, 2:6. მაკა ჩახნაშვილი წყვილთა თანრიგის ფინალში რამდენჯერმეა გასული, თუმცა ტიტული მხოლოდ ორჯერ აქვს მოგებული, შარშან მონ დე მარსანში (საფრანგეთი, 25 ათასი) და ბელეკში (თურქეთი, 10 ათასი). ამჟამად წყვილთა რეიტინგში მაკა მსოფლიოს 182-ე ჩოგანია, თუმცა დღეიდან ის გვარიანად წინ წავა. სამწუხაროდ, იმის გამო რომ მაკას სან რაფაელში ფინალი ჰქონდა სათამაშო, მან ვერ შეძლო ბრატისლავაში დროულად ჩასვლა, სადაც 100-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე უნდა ეთამაშა.

## ორი მოგება და სამი მარცხი

თურქეთის ქალაქ სტამბოლში დაიწყო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ხუთი ქართველი ჩოგბურთელი ასპარეზობს. მეხუთე ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** თურქ **დილარა იურთქურანს** მოუგო - 6:2, 6:0. გაიმარჯვა მეცხრე ნომრად განთესილმა **თინათინ ყავლაშვილმაც**, რომელმაც ბულგარელი **ტანია გერმანლიევა** დაამარცხა - 6:4, 6:3. სამწუხაროდ, სამმა ჩვენებურმა პირველივე წრეში წააგო. **სოფიო ქვაცაბაია** უკრაინელ **ლესია ცურენკოსთან** დამარცხდა - 2:6, 6:7. **ეკატერინე გორგოძეს** მე-7 ნომრად განთესილმა თურქმა **კაგლა ბუიუქაქჩაიმ** მოუგო - 3:6, 1:6. მოულოდნელად დამარცხდა **ოქსანა კალაშნიკოვა**, ვისაც "უაილდ ქარდით" მიწვეულმა რუმინელმა **ალექსანდრა დამასკინმა** აჯობა - 3:6, 1:6. მეორე წრეში თინათინ ყავლაშვილი და სოფიო შაფათავა ერთმანეთს შეხვდებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

## სამნი კალვიაში

ესპანეთის საკურორტო ქალაქ კალვიაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე ამ უქმეებზე მეხუთე და მეექვსე ტურის პარტიები გათამაშდა. აქ სამი ქართველი ცდის ძალებს: **მიხეილ მჭედლიშვილი** (2631), **მერაბ გაგუნაშვილი** (2584), **ქეთევან არახამია-გრანტი** (2432).

მჭედლიშვილი რეიტინგით მესამეა და ექვსი ტურის შემდეგ 4.5 ქულით მეექვსე ადგილზეა. ერთპიროვნული ლიდერია ებრაელი **ვიქტორ მიხალევსკი**, რომელსაც მაქსიმუმი 6 ქულა აქვს და უახლოეს მდევარს ერთი ქულით უსწრებს...

აშკარად ვერ არის სათანადო ფორმაში საქართველოს ნაკრების წევრი **მერაბ გაგუნაშვილი** - მან მხოლოდ 3,5 ქულა მოაგროვა, თანაც არცთუ ძლიერ მოწინაალმდეგეებთან ბრძოლაში - მეექვსე ტურში შავებით ვინმე ანა ზოზელის ვერ აჯობა და ქულა გაუყო. გაგუნაშვილს დღეისთვის 47-ე ადგილი უკავია. უკეთესი პოზიცია უჭირავს **ქეთევან არახამია-გრანტს**: 4 ქულა აქვს და 28-ე ადგილზეა.

მეშვიდე ტურში მიხეილ მჭედლიშვილი თეთრებით სლოვაკ მიკულას მანიკს შეხვდება; არახამია ასევე თეთრებით შეუტევს არგენტინელ ფერნანდო პარალტას; გაგუნაშვილის არჩივიც თეთრია და, იმედია, ამჯერად მაინც შეძლებს ლატვიელი იურის მიჰაილოვსის დამარცხებას...

**ზვიად შათირიშვილი**




რაგბი — საქართველოს ჩემპიონატი


ყოჩები-ლოკომოტივი
ნუგზარ სხარიძის ფოტო

# მეოთხეს ბოლო ტური გამოავლენს

**IX ტური. 20-21 ოქტომბერი**

**არმაზი-დინამო 16:9**

არმაზი: (15-9) ჩხაიძე, ძიძიშვილი (ხინთიბიძე 56), ჯავახიშვილი, ძნელაძე (გეთიაშვილი 68), მინაშვილი, მჟავანაძე, ურჯუკაშვილი. (1-8) ლამბაშიძე, სოსელია, ქართველიშვილი, ჯიშკარიანი, მაჭარაძე, კანდელაკი, პინიაშვილი, ცირეკიძე - *ლ (სოსელია); გ, 3ს (ურჯუკაშვილი).*

დინამო: (15-9) ოდიშარია, აგიაშვილი, ჯეირანაშვილი, ხონელიძე, მაისურაძე, ღირსიაშვილი, კრეპსი. (1-8) მურვანიძე (ჭიჭინაძე 46), სვანიძე, მირცხულავა, ხორბალაძე, ცხადაძე, ხვიჩია, რამიშვილი, აზალაძე - *3ს (ღირსიაშვილი)*

მსაჯი: უ.ნარიმანიძე

**ყოჩები-ლოკომოტივი 14:13**

ყოჩები: (15-9) კუპრეიშვილი (ჯორჯაძე 48), ელოშვილი, გრძელიშვილი, ადანაია, მახარაშვილი, გეგენავა, ხელაძე. (1-8) ჯაშიტაშვილი (ასეიშვილი 41), ყალიჩავა, კიკნაველიძე (მეტრეველი 67), ბელაშვილი, არჩუაშვილი, გენებაშვილი, კუჭუხიძე (ჯოხაძე 54), დგებუაძე - *ლ (გეგენავა), 3ს (მახარაშვილი 2, გრძელიშვილი).*

ლოკომოტივი: (15-9) ასათიანი, ქავთარაძე, ანდღულაძე (ნადირაძე 47), ბერძენიშვილი, გუგავა (დათუკიშვილი 72), კვინიხიძე, ღვინჯილია. (1-8) პეტრიაშვილი, ხეჩიკოვი, მალალდაძე (გუჯარაიძე 45), ტურაშვილი, ჟღენტი (ნაცარაშვილი 57), ბერიშვილი, ნიშნიანიძე, ყურაშვილი - *2ლ (ნიშნიანიძე, ბერიშვილი), ს (კვინიხიძე)*

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

**ლელო-უნივერსიტეტი 21:15**

ლელო: (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, მანჯავიძე (ქიზიყურაშვილი 56, ჯოგლიძე 72), ფირფილაშვილი, ცერცვაძე, ხმალაძე, ჭინჭარაული. (1-8) სანიკიძე, ცხოვრებაშვილი, მჭედლიშვილი, იორდანაშვილი, ჯალალონია (ჭანკვეტაძე 62), მძინარიშვილი, სარდანაშვილი, ახალაია - *2ლ (სარდანაშვილი, ზაალიშვილი), გ, 3ს (ყიასაშვილი)*

უნივერსიტეტი: ნუცუბიძე (კავთიძე 67), ა.ტუჩაშვილი, კუპრეიშვილი, ლუკა კილასონია, ხუციშვილი (ნადარეიშვილი 41), ბაირამაშვილი, გოგია (ა. ზაბახიძე 66). (1-8) დონაძე, გ. ზაბახიძე (ქორიძე 59), ალადაშვილი, კობახიძე, სურგულაძე, ვ. ტუჩაშვილი, დარასელია, კაკოვინი - *4ს,ა (ბაირამაშვილი)*

მსაჯი. მ. ჩაჩუა

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 9 | 7 | 0 | 2 | 14 |
| 2.ყოჩები | 9 | 6 | 0 | 3 | 12 |
| 3.ლოკომოტივი | 9 | 5 | 0 | 4 | 10 |
| 4.დინამო | 9 | 3 | 0 | 6 | 6 |
| 5.უნივერსიტეტი | 9 | 3 | 0 | 6 | 6 |
| 6.არმაზი | 9 | 3 | 0 | 6 | 6 |

**საქართველოს ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურმა პლეიოფის ოთხი მონაწილედან სამი გამოავლინა. უკიდურესად დაიძაბა ვითარება სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში. აქ ერთბაშად სამ გუნდს აქვს თანაბარი ქულები. ამის მიზეზი კი თითქმის გასავარდნად განწირული "არმაზის" მიერ მოპოვებული მოულოდნელი გამარჯვებაა "დინამოსთან" 16:9.**

დინამოელები აქამდე მყარად იყვნენ მეოთხე საფეხურზე, თუმცა ამ მარცხის შემდეგ, არათუ პლეიოფში გასასვლელად, არამედ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევთ ბრძოლა. მით უფრო, რომ ბოლო ტურში "დინამოს" მეტოქე ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი და თასის მფლობელი "ლოკომოტივია". ძნელი სავარაუდოა, რომ დინამოელებს რკინიგზელებმა რამე დაუთმონ. მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ამ შეხვედრას არანაირი სატურნირო მნიშვნელობა აღარ აქვს. "ლოკომოტივი" უკვე პლეიოფშია.

როგორც ჩანს, ბოლომდე აპირებს ბრძოლას "არმაზიც". თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ტურში მათი შანსები ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან, "ლელოსთან" მიზერულია. მაგრამ, როგორც ბოლო ტურების შეხვედრებმა გვიჩვენეს, გუნდებს შორის ძალთა სხვაობა არც ისე დიდია და ყველაფერი ადვილად შესაძლებელია მოხდეს.

კიდევ ერთი აუტსაიდერი, რომელსაც ამავდროულად, პლეიოფში მოხვედრის შანსიც აქვს, "უნივერსიტეტია", რომელმაც ბოლოსწინა ტურში "ლელოსთან" წააგო - 15:21. **ბადრი ბოხუას** ახალგაზრდული გუნდის მეტოქე "ყოჩები" იქნება. უნივერსიტეტელები გამარჯვების შემთხვევაში მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ. როგორც უკვე გითხარით, ამის შანსს ინარჩუნებენ "დინამოცა" და არმაზიც".

ერთი სიტყვით, საკმაოდ ჩახლართული ვითარებაა, სინათლეს კი ყოველივეს ბოლო ტური მოჰფენს, რომელიც საქართველოს თასის ფინალური მატჩიდან კვირის თავზე, 3-4 ნოემბერს გაიმართება. ფინალის მონაწილეებმა "ყოჩებმა" და "ლოკომოტივმა"კი რეპეტიცია გაიარეს, სადაც უფრო უკეთ პირველი გამოიყურებოდა და გამარჯვებაც მას დარჩა მინიმალური ანგარიშით 14:13. რაც გვაფიქრებინებს, რომ 27 ოქტომბერს ქუთაისში, თასის ფინალში უშელავათო, ძალიან საინტერესო ორთაბრძოლა გველის.

საქართველოს ჩემპიონატის პლეიოფი ავსტრალიური სისტემით, სამ ეტაპად გაიმართება. მეექვსე ადგილზე გასული პირდაპირ ტოვებს უმაღლეს ლიგას და ადგილს პირველი ლიგის გამარჯვებულს უთმობს. მეხუთეადგილოსანი კი პირველი ლიგის მეორე გუნდთან დაუპირისპირდება ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

**ბესიკ ჯანგავაძე**

BTA Silk Road Bank
ქვარციტი QUARTZITE
LOYAL CAPITAL group

# გვითხარი, დიკინსონ...



ჯონი ვილკინსონი



გადამწყვეტი ეპიზოდი: იყო ლელო თუ არ იყო?

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

**20 ოქტომბერი. სენ დენი**

**სამხ. აფრიკა-ინგლისი 15:6**

აფრ: (15-9) მონტგომერი, პიტერსენი, ფური, შტაინი, ჰაბანა, ჯეიმზი, დუპრე; (1-8) დურანი, ჯ. სმითი (ბ.დუპლესი 72-77), ფანდერლინდე, ბოთა, მეტფილდი, ბურხერი, ჟ.სმითი, როსუ (ფანჰირდენი 72) - *5ს (მონტგომერი - 7, 16, 40, 51; შტაინი - 62)*

ინგ: (15-9) რობინსონი (ჰიპკისი 47), საკი, ტეიტი, ქეთი (ფლუდი 51), კუეტო, ვილკინსონი, გომერსოლი; (1-8) შერიდანი, რიგანი (ჩატერი 63), ვიკერი (სტივენსი 41), შოუ, ქეი, ქორი, მუდი (ვორსლი 63, რიჩარდსი 71), ისტერი (დალალიო 65) - *2ს (ვილკინსონი - 13, 44)*

მსაჯი: ალენ როლანი (ირლ)

| აფრიკა | სტატისტიკა | ინგლისი |
|---|---|---|
| 9/0 | შერკინება | 5/1 |
| 13/0 | ლაინაუტი | 19/7 |
| 4 | თერნოვერი | 4 |
| 81/97 | ბოჭვა | 77/88 |
| 1 | ხაზის სუფთად გაჭრა | 1 |
| 45% | ბურთი | 55% |
| 43% | ტერიტორია | 57% |
| 3:22 | მეტოქის 22-ში | 6:48 |
| 8 (6) | შეცდომა (ხელით თამაშში) | 10 (10) |
| | 10 ნომერი ფეხით | |
| 48 (28/18/2) | (მოედ./კიდ./შეც.) | 44 (34/10/0) |
| 5 | ჯარიმა | 7 |

42-ე წუთზე, როცა სამხრეთი აფრიკა 9:3 იგებდა, ფინალის ყველაზე დრამატული ეპიზოდი გათამაშდა.

**მეთიუ ტეიტმა** მოედნის ცენტრიდან გაჭრა ხაზი - შტაინსა და ფურის შორის გაძვრა, მერე კი მონტგომერისა და ბურხერს გაექცა ფინტით. გაქცეული ლელოდან ორიოდ მეტრში შებოჭა **ვიქტორ მეტფილდმა**, თუმცა, **ენდი გომერსოლმა** სწრაფად გაიტანა ბურთი მოკლე ფრთაზე და **მარკ კუეტო** ლელოში გადახტა. გარემარბს **დანი როსუ** წაეტანა. როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, მბოჭავის ამოცანა იყო, სანამ ბურთიანი დაამიწებდა, მისი სხეულის რომელიმე ნაწილი შეეხო კიდის ხაზისთვის.

კუეტომ ბურთი რომ ცხადად დაამიწა, უეჭველი იყო, დანარჩენი ვიდეორეფერის უნდა გადაეწყვიტა. და მსაჯი **ალენ როლანი** ეკითხება ავსტრალიელ ვიდეორეფს, **სტიუარტ დიკინსონს: - კოლეგავ, მითხარით თუნდაც ერთი მიზეზი, რის გამოც ლელოს ჩათვლა არ შეიძლება!**

არბიტრს ვიდეოთვალისთვის სულ რამდენიმე სტანდარტული შეკითხვის დასმის უფლება აქვს. როგორც ჩანს, როლანს ლელოს გატანა უფრო სარწმუნოდ მიაჩნდა, ვიდრე გაუტანლობა, თორემ პირიქით რომ ყოფილიყო, ასე მიმართავდა **- მომიყვანეთ თუნდაც ერთი მტკიცებულება ლელოს ჩასათვლელად!**

დიკინსონმა დიდხანს ატრიალა ფირი: **როსუ** ცდილობს, **კუეტოს** მარცხენა წვივი დაადებინოს ხაზზე, მაგრამ ინგლისელი ფეხს მაღლა წევს და წამის რამდენიმე მეასედით გვიან, მხოლოდ მუხლით ეხება ხაზს, ამასობაში კი... არა, არცერთი რაკურსით არ გამოჩენილა, რომ ინგლისელმა ჯერ ბურთი დაამიწა და ხაზს მერე შეეხო, თუმცა, ვერც საპირისპიროს დაამტკიცებს ვინმე.



მეთიუ ტეიტი ფრანსუა შტაინს ბოჭავს

ამ შემთხვევაში კი მთავარი კი შეკითხვის ფორმულირებაა (იხ.ზემოთ). და რახან ცხადად არ გამოჩნდა, რომ კუეტომ დამიწებამდე შეახო ხაზს ფეხი, დიკინსონს შესაბამისად უნდა ეპასუხა და როლანი ლელოს ჩათვლიდა!

და რა მოხდებოდა მერე? **ჯონი ვილკინსონს** ძალიან რთული გარდასახვა ექნებოდა დასარტყმელი მოედნის მარცხენა კიდიდან, მაგრამ რომ გაეტანა, ინგლისი წინ გადიოდა - 10:9. რა თქმა უნდა, სისულელე იმის მკითხაობა, რა მოხდებოდა მერე ან იმის მტკიცება, რომ ჩემპიონი ინგლისი გახდებოდა. ფაქტი ისაა, რომ ინგლისს ამ ეპიზოდიდან მხოლოდ ჯარიმა და ანგარიში 6:9 შერჩა.

სხვა - ბევრიც არაფერი. იყო ძალიან მძიმე, შეუხედავი თამაში, მინიმალური საკუთარი შეცდომებით და დიდი ხათქა-ხუთქი ფეხით - აზრაგანი იქით, აქეთ, იქით, აქეთ. თვით **ჯონი ვილკინსონსაც** არაფრის შანსი არ მიეცა. გატანილი ჯარიმების წუთობრივ ჩამონათვალს ოქმში იხილავთ და ანგარიშის მსვლელობაც იქიდანვე ჩანს, აქ გაუტანელ გოლებს ჩამოგითვლით. ჯონიმ, ორი ზუსტი საჯარიმოს წილ, ააცილა ორი არეკნი: მე-17 წუთზე (3:6) ახლოდან, მაგრამ მარჯვენა ფეხით და 71-ეზე შორიდან, მაგრამ მარცხენათი - ამ დროისათვის ინგლისი 6:15 აგებდა და ზუსტი დარტყმის შემთხვევაში ძალიან ცოტა, 9 წუთი რჩებოდა ლელოს გასატანად. უკვე ნაგებული სიტუაცია იყო.

აფრიკამ ერთადერთხელ ააცილა. **პერსი მონტგომერიმ** უშეცდომოდ, ოთხიდან ოთხი შეაგდო, შორიდან დარტყმა კი **ფრანს შტაინს** ევალებოდა. მან ვერ გაიტანა ერთი, 22-ე წუთზე, ზუსტად ცენტრიდან და...

მეორე დარტყმამდე აფრიკელთა 20 წლის ვარსკვლავმა მოაწყო თავის გუნდის ერთადერთი გარღვევა - ზუსტად ისე, როგორც მისმა კბილა ინგლისელმა, ტეიტმა, შტაინმა ცენტრში ჩაუქროლა **ვილკინსონსა** და **ქეთს** და ლელომდე სულ რამდენიმე მეტრში შეიბოჭა. შერკინების შემდეგ **როსუს** ხელის გადაწვდენალა დააკლდა ლელომდე, თუმცა, აფრიკას ჯარიმა შერჩა და ზედ შესვენების წინ **მონტგომერიმ** ანგარიში 9:3 გახადა.

მერე იყო უკვე აღწერილი საბედისწერო ეპიზოდი, მერე ინგლისს მიყოლებით დაემტვრა **ჯეისონ რობინსონი** და **მაიკ ქეთი. მონტგომერიმ** გაიტანა მეოთხე ჯარიმა და ბოლო დარტყმის უფლება ისევ **შტაინმა** მიიღო - 62-ე წუთზე მან საკუთარი ნახევრიდან გააძვრინა ბურთი ძელებსშუა - 15:6 და ცხადი გახდა, რომ ინგლისი ტიტულის დაცვას ვერ მოახერხებდა.

სამხრეთი აფრიკა მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ერთადერთი კაცი, ვინც ორივეჯერ ასწია ვილიამ ვებ ელისის თასი (1995 და 2007 წლებში), გახლავთ 35 წლის ბურჯი **ოზ დურანი**, ვინც კვირას უკანასკნელად ითამაშა ნაკრებში. დურანის გარდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები არიან ავსტრალიელები - **ჯონ ილზი, ტიმ ჰორანი** და **ჯეისონ ლითლი** (1991, 1999).

**ნიკოლოზ აბაშიძე**

| ბომბარდირები | თ | ქ | ლ | გ | ს | ა |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერსი მონტგომერი (ს.აფრ) | 7 | 105 | 2 | 22 | 17 | - |
| ფელიპე კონტეპომი (არგ) | 7 | 91 | 3 | 11 | 18 | - |
| ჯონი ვილკინსონი (ინგ) | 5 | 67 | - | 5 | 14 | 5 |
| ნიკ ევანსი (ზელ) | 4 | 50 | 2 | 20 | - | - |
| ჟან-ბატისტ ელისალდი (საფ) | 7 | 47 | 1 | 12 | 6 | - |
| ქრის პატერსონი (შოტლ) | 5 | 46 | 1 | 10 | 7 | - |
| პიერ ჰოლა (ტონგა) | 4 | 44 | - | 7 | 10 | |
| ლიონელ ბოსი (საფ) | 6 | 43 | 1 | 7 | 8 | 0 |
| ნიკი ლითლი (ფიჯი) | 3 | 42 | - | 9 | 8 | - |
| დან კარტერი (ზელ) | 3 | 40 | 1 | 10 | 5 | - |
| მეტ გიტო (ავს) | 4 | 40 | 3 | 8 | 3 | - |
| ბრაიან ჰაბანა (ს.აფრ) | 6 | 40 | 8 | - | - | - |
| სტირლინგ მორტლოკი (ავს) | 3 | 37 | 1 | 10 | 4 | - |
| დრიუ მიჩელი (ავს) | 5 | 35 | 7 | - | - | - |
| დავიდ ბორტოლუსი (იტა) | 4 | 32 | - | 4 | 8 | - |
| სტივენ ჯოუნზი (უელსი) | 4 | 31 | - | 11 | 3 | - |
| დაგ ჰაულიტი (ზელ) | 3 | 30 | 6 | - | - | - |
| შეინ ვილიამსი (უელსი) | 4 | 30 | 6 | - | - | - |
| ლოკი კრიჩტონი (სამ) | 4 | 27 | - | 3 | 7 | - |
| მაიკ ჰერკასი (აშშ) | 4 | 26 | - | 4 | 6 | - |
| ჯო როკოთოკო (ზელ) | 3 | 25 | 5 | - | - | - |
| ვენსან კლერი (საფ) | 6 | 25 | 5 | - | - | - |
| ქრის ლეითემი (ავს) | 5 | 25 | 5 | - | - | - |
| შოტარო ონიში (იაპონია) | 3 | 24 | - | 3 | 6 | - |
| ჯეიმზ ჰუკი (უელსი) | 4 | 23 | 1 | 3 | 4 | - |
| მერაბ კვირიკაშვილი (საქ) | 4 | 23 | - | 4 | 5 | - |
| გევინ ვილიამსი (სამოა) | 2 | 22 | 1 | 1 | 5 | - |
| ჯეიმზ პრიჩარდი (კან) | 4 | 21 | - | 3 | 5 | - |

| ყველა დროის | თ | ქ | ლ | გ | ს | ა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯონი ვილკინსონი (ინგ) | 15 | 249 | 1 | 23 | 53 | 13 |
| გევინ ჰესტინგსი (შოტ) | 13 | 227 | 9 | 39 | 36 | - |
| მაიკლ ლაინაფი (ავს) | 15 | 195 | 4 | 35 | 33 | 2 |
| გრანტ ფოქსი (ზელ) | 10 | 170 | - | 37 | 31 | 1 |
| ენდი მერთენსი (ზელ) | 10 | 163 | 1 | 25 | 33 | 3 |
| გონსალო კესადა (არგ) | 8 | 135 | - | 12 | 35 | 2 |
| ნიკი ლითლი (ფიჯი) | 11 | 125 | - | 22 | 26 | 1 |
| მეტ ბერკი (ავს) | 13 | 125 | 6 | 19 | 19 | - |
| ტიერი ლაკრუა (საფ) | 9 | 124 | 4 | 7 | 30 | - |
| გარეს რიისი (კან) | 13 | 120 | - | 15 | 25 | 5 |
| ქრის პატერსონი (შოტ) | 11 | 117 | 4 | 17 | 20 | 1 |
| პერსი მონტგომერი (ს.აფრ) | 12 | 111 | 2 | 22 | 17 | 2 |
| ფრედერიკ მიშალაკი (საფ) | 12 | 103 | 2 | 18 | 18 | 1 |
| ელტონ ფლეტლი (ავს) | 6 | 100 | 1 | 16 | 21 | - |
| ჯონათან ვები (ინგ) | 9 | 99 | 1 | 16 | 21 | 0 |
| ფელიპე კონტეპომი (არგ) | 13 | 99 | 3 | 12 | 20 | - |

**მელელოვეები**

**8** - ბრაიან ჰაბანა (ს.აფრ)

**7** - დრიუ მიჩელი (ავს)

**6** - დაგ ჰაულიტი (ზელ), შეინ ვილიამსი (უელ)

**5** - ვენსან კლერი (საფ), ჯო როკოთოკო (ზელ), ქრის ლეითემი (ავს)

**4** - ჟუან სმითი, ჟაკ ფური, ჯეიპი პიტერსენი (ს.აფრ), პოლ საკი (ინგ), რორი ლემონი (შოტ), სიტივენი სივივატუ (ზელ)

**3** - ფელიპე კონტეპომი, იგნასიო კორლეტო, ლუკას ბორხესი (არგ), მარტინ ვილიამსი (უელ), ისაია ტოეავა, რიჩი მაკქოუ, ჯერი კოლინზი, აარონ მეიჯერი, კონრად სმითი (ზელ), ალისტერ ჰოგი (შოტ), მეტ გიტო, როკი ელსომი (ავს), ვილიმონი დელასაუ, კელე ლეავერე, აკაპუსი ქერა (ფიჯი), მარიუს ტინკუ (რუმ), ლიონელ ნალე (საფ)

**2** - ბრაიან ოდრისკოლი (ირლ), მარტინ ქორი (ინგ), ალუნ-ვინ ჯოუნზი (უელ), კამელი რატუვოუ (ფიჯ), ენდრიუ ჰორი, ქრის მასოი, ნიკ ევანსი, ალი ვილიამსი (ზელ), ჯორჯ სმითი, ადამ ეშლი-კუპერი, ბერიკ ბარნსი, ადამ ფრაიერი (ავს), კლემან პუატრენო, ტიერი დუზოტუარი, ჟულიენ ბონერი, ქრისტოფ დომინისი, სებასტიან შაბალი (საფ), ფედერიკო მარტინ არამბურუ, მანუელ კონტეპომი, ხუან ლეგისამონი (არგ), კოსუკე ენდო, ლუკ თომპსონი (იაპ), ფური დუპრე, რუან პინარი, პერსი მონტგომერი (ს.აფრ), ანდრეა მაზი (იტა), სუკანაივალუ ჰუფანგა, ვილიამი ვაკი (ტონ), ტაკუძვა ნგვენია, ლუის სტენფილი (აშშ)

კალათბურთი

## ჰიუსტონი საბოლოოდ წავიდა

ორწლინახევრიანი პაუზის შემდეგ, "ნიუ იორკ ნიქსის" შემტევმა მცველმა **ალან ჰიუსტონმა** კალათბურთში დაბრუნება გადაიფიქრა. როგორც იცით, ალანმა NBA-ში უკანასკნელად 2005 წლის იანვარში ითამაშა და მუხლის ქრონიკული ტრავმის გამო, იძულებული გახდა, პენსიაში გასულიყო.

მაგრამ ამ ზაფხულს, ჰიუსტონმა აქტიურ სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა, ინტენსიური ვარჯიშები განაახლა და "ნიქსთან" კონტრაქტსაც გამოკრა ხელი. მაგრამ ახლა, თავად გადაიფიქრა მოედანზე გასვლა.

*"ჩემი ორგანიზმი და მუხლი წესრიგშია, მაგრამ ძველი ეფექტურობის დასაბრუნებლად ძალიან დიდი დროა საჭირო. ეს კი, თავის მოტყუება და უსამართლობა იქნებოდა აიზია ტომასთან ("ნიქსის" მწვრთნელი) და კლუბთან მიმართებაში. "ნიქსს" მადლობას ვუხდი იმისთვის, რომ ძალების მოსინჯვის საშუალება მომცა"*, - მოყვანილია 36 წლის ჰიუსტონის სიტყვები "ნიუ იორკის" ოფიციალურ პრეს-რელიზში.

წინასასეზონო შეკრებისას, ჰიუსტონმა მხოლოდ ერთ მატჩში მიიღო მონაწილეობა. ოთხშაბათს, მან 6 წუთი დაჰყო მოედანზე "ბოსტონთან" მატჩში. სულ კარიერაში, ალანის ანგარიშზე 839 მატჩი და საშუალო 17.3 ქულა მოდის.

## ჰოვარდი ორი მატჩით დასაჯეს

"დალას მავერიქსის" ფორვარდი **ჯოშ ჰოვარდი** რეგულარული ჩემპიონატის საწყის ორ მატჩს გამოტოვებს. ამის მიზეზია დისკვალიფიკაცია, რომელიც NBA-ის სადისციპლინო კომიტეტმა გამოიტანა. კალათბურთელს "საკრამენტოსთან" საჩვენებელი მატჩის დროს, ცენტრალურ თავდამსხმელ **ბრედ მილერთან** ჩხუბი არ აპატიეს.

"მავერიქსი" სეზონს 31 ოქტომბერს, "კლივლენდის" წინააღმდეგ მატჩში ხსნის.

## გორდონი ორი კვირა ისვენებს

"ჩიკაგო ბულზის" ერთ-ერთი ლიდერი, მცველი **ბენ გორდონი** სეზონისწინა ვერცერთ საკონტროლო შეხვედრაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. კალათბურთელს ტერფის ტრავმა აწუხებს. სეზონის პირველ მატჩში, "ჩიკაგო" "ნიუ ჯერსის" წინააღმდეგ ითამაშებს. ეს შეხვედრა 31 ოქტომბერს გაიმართება.

გასულ რეგულარულში, 24 წლის გორდონმა ყველა მატჩში (82) მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 21.4 ქულა, 3.6 შედეგიანი გადაცემა და 3.1 მოხსნა დააგროვა.

## კიდი მალე დაბრუნდება

"ნიუ ჯერსი ნეტსის" გამთამაშებელმა **ჯეისონ კიდმა** ერთ-ერთი წინა საკონტროლო შეხვედრაში ზურგი იტკინა და გაურკვეველი ვადით გამოაკლდა გუნდს.

გუშინდელმა სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ 34 წლის კიდი ამ კვირას განაახლებს ვარჯიშებს და რეგულარულის სტარტისთვის მწყობრში იქნება.

"ნეტსის" ლიდერის შარშანდელი სტატისტიკური მონაცემები 13 ქულას, 9.2 შედეგიან გადაცემასა და 8.2 მოხსნას უტოლდებოდა.

## უილკსი დენვერში გადავიდა

სეზონის წინ, "დენვერ ნაგეტსმა" მცველი **მაიკ უილკსი** დაიმატა. 28 წლის კალათბურთელი შარშან "სიეტლ სუპერსონიქსში" თამაშობდა და ამ გუნდის რიგები 47 მატჩში დაიცვა, რომლის დროსაც საშუალოდ 3.6 ქულა და 1.7 შედეგიანი პასი დააგროვა.

უილკსისთვის "დენვერი" მეექვსე კლუბია. "სიეტლამდე" ის "ატლანტაში", "მინესოტაში", "ჰიუსტონში", "სან ანტონიოსა" და "კლივლენდში" თამაშობდა.

ჰოკეი

## ჰავლატი 4-6 კვირა ვერ ითამაშებს

გაირკვა "ჩიკაგო ბლექჰოქსის" წამყვანი ფორვარდის, **მარტინ ჰავლატის** ბედი. ტრავმირებულ ჰოკეისტს სამკურნალოდ ოპერაცია არ სჭირდება, თუმცა მტკივანი მხარის გამო, ჩეხ ფორვარდს დაახლოებით 4-6 კვირა მოუწევს უქმად ყოფნა. 26 წლის ჰავლატმა ტრავმა სეზონის პირველივე მატჩში, "მინესოტას" წინააღმდეგ თამაშისას მიიღო.

ჰავლატისთვის ეს ტრავმა პირველი არ არის. 2005-06 წლების სეზონში, მან მარჯვენა მხარზე ოპერაცია გაიკეთა, შარშან კი, სეზონის დიდი ნაწილის გამოტოვება მოუწია.

## შნაიდერის დაბრუნება გადაიდო

ვეტერანი მცველი **მეტიუ შნაიდერი** 10 დღეში დაუბრუნდება ყინულს. როგორც იცით, ეს ჰოკეისტი ამ ზაფხულს "დეტროიტ რედ უინგზიდან" სტენლის თასის მფლობელ "ანაჰაიმ დაქსში" გადავიდა, მაგრამ ამ გუნდის რიგებში ჯერ ერთი ოფიციალური მატჩიც არ ჩაუტარებია.

შნაიდერმა ერთი თვის წინათ, "ლოს ანჯელესთან" საკონტროლო მატჩში მოიტეხა ფეხი.

რაგბი

## უაიტი ინგლისის გაწვრთნაზე თანახმაა

სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჯეიკ უაიტმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მომავალში სიამოვნებით იმუშავებდა ინგლისის ნაკრების დამრიგებლად. აფრიკელთა გუნდთან უაიტის კონტრაქტი დეკემბერში იწურება.

სამხრეთ აფრიკის ნაკრებში მოღვაწეობის დროს, მწვრთნელი რამდენიმეჯერ ახლო იყო თანამდებობის დატოვებასთან. უაიტი ცნობილია საკმაოდ კონფლიქტური ურთიერთობით სამხრეთ აფრიკის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან. მიუხედავად ამისა, ამ ორგანიზაციამ უაიტთან კონტრაქტის გაგრძელების სურვილი გამოთქვა, თუმცა მწვრთნელის ბოლოდროინდელმა გამოსვლამ, შესაძლოა მოლაპარაკებების პროცესი გაართულოს.

*"თუ ინგლისელები თავიანთ გუნდში მიმიწვევენ, სულელი უნდა ვიყო, რომ ამ წინადადებას არ დავთანხმდე. მათ ნაკრებს სერიოზული პერსპექტივები აქვს - უკვე მზა ვარსკვლავები და ძალიან ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე, რომლებიც მომავალი ვარსკვლავები არიან. ინგლისური რაგბი ყოველთვის გამარჯვებისკენ სწრაფვით იყო ცნობილი და ეს ფაქტორი ჩემთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს"*, - განუცხადა გაზეთ "გარდიანს" უაიტმა.

ფორმულა 1

## სპაიკერი სახელს იცვლის

მომავალი სეზონიდან, ფორმულა 1-ის გუნდი "სპაიკერი" სახელს შეიცვლის. საჯინიბოს ახალმა მფლობელმა, ინდოელმა ბიზნესმენმა **ვიჯაი მალიამ** გამოაცხადა, რომ 2008 წელს, გუნდის სახელწოდება იქნება - Force India.

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ "სპაიკერს" სახელის შეცვლის ნება დართო.



NBA. სეზონის წინ

# ლებრონის სამყარო

**მესამე ნომრების, ანუ მსუბუქი ფორვარდების რეიტინგში პირველ ადგილზე გამსვლელის ვინაობა არც კი განიხილებოდა. კი, დანარჩენების არჩევისას კი ძალიან ბევრი ფაქტორის გათვალისწინება დაგვჭირდა. მაგალითად, ზოგი დაცვაშია სუსტი, ხოლო ზოგს კი გუნდური თამაში არ ეხერხება, ან უბრალოდ, არ უყვარს. "კლივლენდის" სუპერვარსკვლავი ლებრონ ჯეიმსი არა მარტო ამ ამპლუის მოთამაშეებში, არამედ მთლიანად ლიგის შემაზანზარებელია. ჯეიმსი წლიდან წლამდე პროგრესირებს, სხვებს კი გაქანებაც ნაკლები აქვთ და იმიჯიც.**

### 1. ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)

**ლებრონი** კოშმარული სუპერფინალის შემდეგ, მთელ თავის ბოღმასა და ენერგიას რეგულარულში პირველობასა და "კავალიერსის" საპლეიოფო შანსების განმტკიცებას მოახმარს. "კლივლენდის" ლიდერი წლეულსაც თითქმის ყველა შეხვედრაში სამმაგ დუბლს წაეპოტინება და ეცდება, საშუალო შედეგიანობა სადღაც 30 ქულამდე გაზარდოს. ჯეიმსი არანორმალურად ძლიერია შეტევაში, სადაც მას ნებისმიერი ოპონენტისა თუ დაცვითი სქემის დაშლა შეეძლება. ლებრონი მთელი ზაფხული, საშუალო და შორეული სროლების გაუმჯობესებაზე მუშაობდა და ამერიკის ნაკრების რიგებში საკვალიფიკაციო ტურნირზე, სამიანების 62 (!) პროცენტი გამოიყენა. ცხადია, რეგულარულში ასეთი მაჩვენებელი არ დაფიქსირდება, თუმცა სამქულიანების თუნდაც 45 პროცენტი რომ გამოიყენოს, მეტოქეების ზონასაც მოევლება და ჯეიმსის სტატისტიკაც კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდება.

ლებრონი აღარ ცდილობს ყოველი შეტევისას ჩასატენად აფრენას, უფრო დინჯი, მომთმენი და გუნდური მოთამაშე გახდა, თუმცა მას არცთუ იშვიათად პასიურობის გამო აკრიტიკებენ.

ჯეიმსი წლეულსაც უძვირფასესი პრიზისთვის იბრძოლებს, კონკურენტებად კი ძველი გვარდიის ხალხი - **სტივ ნეში, კობი ბრაიანტი, კევინ გარნეტი, დუეინ უეიდი** და **დირკ ნოვიცკი** ეყოლება. ცნობისთვის, დეკემბერში ჯეიმსი მხოლოდ 23 წლის შესრულდება.

### 2. ჯოშ სმიტი (ატლანტა)

ჯორჯიელთა ულაპარაკო ლიდერი, გუნდის ყველაზე პოპულარული წევრი და საუკეთესო მექულე **ჯო ჯონსონია**, მაგრამ როდესაც შარშან ის დაშავდა, ლიდერობა საკუთარ თავზე **ჯოშ სმიტმა** აიღო და ყველაფერი უმაღლეს დონეზე გააკეთა. სმიტი ამ ამპლუის მოთამაშეებში საუკეთესო დამცველია, რაზეც მის შარშანდელი საშუალო სტატისტიკაც მეტყველებს - 2.95 დაფარება და 1.45 ჩაჭრა. ამას დაამატეთ 16 ქულა, 3 პასი, 8 მოხსნა და მივიღებთ ერთ-ერთ გამორჩეულ უნივერსალს, რომელსაც მხოლოდ სროლების პროცენტული მაჩვენებელი აქვს გასაუმჯობესებელი. სმიტს წლეულს **ელ ჰორფორდიც** დაემატა, რაც მისი შედეგიანობის გაზრდას ხელს შეუშლის. მიუხედავად ამისა, "ჰოქსის" წლევანდელი შედეგი რეგულარულში ყველაზე მეტად, სწორედ ჯოსა და ჯოშის გამოსვლაზე იქნება დამოკიდებული.

### 3. ანდრე იგუოდალა (ფილადელფია)

"ფილადელფიაში" ერთი კაცის ეპოქა **ალენ აივერსონის** "ნაგეტსში" გადასვლით დასრულდა, მაგრამ არ გაგიკვირდეთ, თუ გუნდში ამიერიდან ყველაფერი კვლავ ერთი კალათბურთელის გარშემო იყოს აწყობილი. ანდრეს საშუალო სტატისტიკა შთამბეჭდავია - 18.2 ქულა, 5.7 შედეგიანი გადაცემა და 7 მოხსნა. "სიქსერზში" **ანდრე მილერის** სახით, მას ძალიან კარგი ფლეიმეიქერი და იდეალური პარტნიორი ეყოლება. იგუოდალას დაცვაც გამოსარჩევია - პირველი, მეორე და მესამე ნომრების ერთნაირი წარმატებით აყვანა შეუძლია. ორი წლის წინათ, იგუოდალამ თამაშიდან სროლების ნახევარი გამოიყენა, შარშან კი ეს მაჩვენებელი 6 პროცენტით დაეცა. მოთამაშეს ამაზე მუშაობა მოუწევს.

"ფილადელფიას" მთლად საპლეიოფო შემადგენლობა არ ჰყავს, მაგრამ თუ ანდრე ფორმაში და ჯანმრთელი იქნება, მაშინ გუნდს კონფერენციის რვა საუკეთესო გუნდში შეღწევა შეეძლება. "სიქსერზის" ლიდერს სეზონის მსვლელობისას იქნებ რამდენიმე სამმაგი დუბლიც გამოუვიდეს, დანარჩენს კი ჩემპიონატის მიმდინარეობა გვაჩვენებს.

### 4. პოლ პირსი (ბოსტონი)

"სელტიქსი" ძალიან დიდი ამბიციებით ხვდება სეზონს. **კევინ გარნეტისა** და **რეი ალენის** დამატებით, ლიგის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი მინიმუმ, პლეიოფის პირველი წრის გავლას გეგმავს, მაქსიმუმი კი ჩემპიონობაა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ახალწვეული დიდი მასშტაბისა და გამოცდილების მქონეა, "სელტიქსის" ფანები თავიანთ კერპად მაინც **პოლ პირსს** მიიჩნევენ. სამწუხაროდ, ამ გუნდის ბოსები გვიანღა მიხვდნენ, რომ **ანტუან უოკერი** ხელს უშლიდა პირსის წინსვლას. წავიდა თუ არა უოკერი, პოლი ნამდვილ ლიდერად იქცა, რომელიც თავისი შრომისმოყვარეობით გუნდის ყველა წევრს ჯანსაღ მაგალითს აძლევს. პირსისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ერთ მატჩში საშუალოდ 25 ქულის, 5 მოხსნისა და მინიმუმ, ამდენივე შედეგიანი გადაცემის გაკეთებას, ხოლო დაცვაში კი, ყოველთვის საშუალოზე ძლიერი იყო. მოკლედ, ეს სეზონი პირსისა და მთელი "სელტიქსისთვის" ძალიან ბევრს გადაწყვეტს.



### 5. რაშარდ ლიუისი (ორლანდო)

"მეჯიქში" **რაშარდ ლიუისისგან** მინიმუმ 20 ქულისა და ერთ მატჩში 2 სამქულიანის გამოყენებას ითხოვენ. "სიეტლის" ყოფილი ვარსკვლავი შედარებით სუსტ აღმოსავლეთში შეტევაში იფრენს, ბევრ სასარგებლოს გააკეთებს, მაგრამ გუნდისგან საპლეიოფო წარმატებასაც ითხოვენ, რაც ლიუისისგან განსაკუთრებულ გამოსვლასა და ბევრად მოტივირებულ თამაშს ითხოვს.

"ორლანდოში" წინა პლანზე ალბათ, **დუაიტ ჰოვარდი** იქნება, რომელიც თვიდან თვემდე უმატებს. ჰოვარდზე ცენტრების მიმოხილვისას უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, ახლა კი რაშარდის ამბები დავასრულოთ. თავად ლიუისი დარწმუნებულია, რომ მისი ახალ გუნდში ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბება დიდ დროს არ წაიღებს, მაგრამ თანაგუნდელებისგან მეტ მხარდაჭერას ითხოვს. შემადგენლობით ფლორიდელები კონფერენციის 4-5 გუნდს ნამდვილად ჩამოუვარდებიან, დანარჩენებთან კი დარჩენილი საპლეიოფო ადგილებისთვის დიდი ბრძოლა მოუწევთ.

6. კარმელო ენტონი (დენვერი)
7. ჯერალდ უოლასი (შარლოტი)
8. კეირონ ბატლერი (ვაშინგტონი)
9. ლუოლ დენგი (ჩიკაგო)
10. ჯოშ ჰოვარდი (დალასი)

**ზურაბ თალაკვაძე**



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**19 ოქტომბერი**

**ბაფალო-კოლამბუსი 0:3**

0:0, 0:2, 0:1

**გოლები**: 0:1 პეკა-1 (ნეში-4), 0:2 ნეში-4 (პეკა-1, რასელი-2), 0:3 ჟერდიოვი-1.

**პიტსბურგი-კაროლინა 4:3 (ბ)**

1:1, 2:2, 0:0, 0:0

**გოლები**: 0:1 რეი უიტნი-2 (კულენი-3, ბრინდამორი-6), 1:1 სიკორა-3 (კროსბი-5, რეკი-4), 1:2 ლეტოვსკი-1 (ჯასტინ უილიამსი-8, ბრინდამორი-7), 1:3 ჯასტინ უილიამსი-2, 2:3 ჰოლი-1 (ი. რუუტუ-1, ტელბოტი-1), 3:3 სიკორა-4 (გონჩარი-5, კროსბი-6).

**ბულიტები გაიტანეს**: კრისტენსენი (პიტსბურგი), სიკორა (პიტსბურგი), კროსბი (პიტსბურგი), კულენი (კაროლინა), ჰემილტონი (კაროლინა).

**ჩიკაგო-კოლორადო 5:3**

3:0, 0:1, 2:2

**გოლები**: 1:0 ტოევზი-2 (კეინი-5, ვიშნევსკი-1), 2:0 შარპი-2 (ჯეისონ უილიამსი-1), 3:0 კეინი-1 (შარპი-2, კეიტი-1), 3:1 ვოლსკი-2 (ბრუნეტი-6, საკიკი-2), 3:2 სვატოსი-3 (მჩასტნი-9), 3:3 რ. სმიტი-3 (ბრუნეტი-7, საკიკი-3), 4:3 ტ. რუუტუ-2 (მ. იოჰანსონი-2, კეინი-6), 5:3 ლანგი-4 (შარპი-3, პერო-1).

**ვანკუვერი-ლოს ანჯელესი 2:4**

1:0, 0:3, 1:1

**გოლები**: 1:0 კუკი-1 (ბაროუზი-2, კესლერი-3), 1:1 ჯ. ჯონსონი-1 (კალდერი-1, დ. არმსტრონგი-3), 1:2 კამალერი-8 (კოპიტარი-8, დ. ბრაუნი-4), 1:3 ფროლოვი-1 (ვიშნოვსკი-6, ნადი-4), 2:3 ოლუნდი-2 (კრაიჩეკი-2, კესლერი-4), 2:4 დ. ბრაუნი-4.

**20 ოქტომბერი**

**ბოსტონი-რეინჯერსი 1:0 (ბ)**

0:0, 0:0, 0:0, 0:0

**ბულიტები გაიტანეს**: კესელი (ბოსტონი).

**ტორონტო-ჩიკაგო 4:6**

2:1, 1:0, 1:5

**გოლები**: 0:1 ჯეისონ უილიამსი-3 (ტოევზი-4, კეინი-7), 1:1 სუნდინი-4, 2:1 ტ. კაბერლე-3 (ჯ. ბლეიკი-5), 3:1 სუნდინი-5 (ჯ. ბლეიკი-6), 3:2 ზიუზინი-1 (კეინი-8, ჯეისონ უილიამსი-2), 3:3 კეიტი-1 (სოპელი-2, სამსონოვი-2), 3:4 ლანგი-5 (ჯეისონ უილიამსი-3, ვანდრემეერი-1), 3:5 შარპი-3 (სოპელი-3), 4:5 კილგერი-3 (ტაკერი-4), 4:6 ტ. რუუტუ-3 (ლანგი-3, ჯეისონ უილიამსი-4).

**მონრეალი-ბაფალო 4:2**

1:0, 1:2, 2:0

**გოლები**: 1:0 სმოლინსკი-1 (ჰამრლიკი-2, გრაბოვსკი-1), 1:1 გოსტადი-2 (კონოლი-7, ბ. კემპბელი-9), 1:2 დ. რუა-5 (ვანეკი-3), 2:2 ჩიპჩურა-1, 3:2 ჰიგინსი-2 (ჰამრლიკი-3, შტრაიტი-2), 4:2 ჰიგინსი-3 (ჰამრლიკი-4).

**აილენდერსი-ნიუ ჯერსი 4:3 (ო)**

0:1, 3:0, 0:2, 1:0

**გოლები**: 0:1 პარიზე-2, (ზუბრუსი-3), 1:1 ვაშიჩეკი-3 (შატანი-4, მარტინეკი-1), 2:1 შატანი-1 (ბერგენჰაიმი-2, მარტინეკი-2), 3:1 კომრი-5 (ჟერვე-4, ფედოტენკო-6), 3:2 პანდოლფო-3 (ბრილინი-1, პელეი-1), 3:3 ჯონტა-2 (მარტინი-5, ზუბრუსი-4), 4:3 გერინი-4 (კომრი-5, კამპოლი-5).

**ფილადელფია-კაროლინა 3:2 (ო)**

1:1, 0:1, 1:0, 1:0

**გოლები**: 1:0 საიმონ განიე-3 (ბრიერი-6, ქობურნი-2), 1:1 ე. სტაალი-6 (ჯ. ჰემილტონი-5, სტილმანი-4), 1:2 ჯასტინ უილიამსი-3 (სტილმანი-5, ბრინდამორი-8), 2:2 მ. რიჩარდსი-5 (ტიმონენი-4, უმბერგერი-3), 3:2 საიმონ განიე-4 (დ. ჰეტჩერი-2, ბრიერი-7).

**ვაშინგტონი-პიტსბურგი 1:2**

1:0, 0:2, 0:0

**გოლები**: 1:0 პოტიე-1 (ნიულანდერი-3, ბექსტრიომი-5), 1:1 ჯ. სტაალი-1 (რეკი-5, ორპიკი-1), 1:2 რაიან უიტნი-2 (კროსბი-7, რ. მელოუნი-1).

**ოტავა-ფლორიდა 4:1**

0:0, 2:1, 2:0

**გოლები**: 1:0 ფიშერი-2 (ნილი-1, ვოლჩენკოვი-2), 2:0 დონოვანი-1 (შუბერტი-1, მაკგრატენი-1), 2:1 ჟედნიკი-2, 3:1 შუბეოტი-1 (მეზაროში-3, რობიტაილი-1), 4:1 ალფრედსონი-6 (მეზაროში-4).

**ტამპა ბეი-ატლანტა 6:2**

2:1, 3:0, 1:1

**გოლები**: 1:0 პროსპალი-6 (სენტ ლუისი-6, რეინჯერი-5), 1:1 კოვალჩუკი-4 (ჰაველიდი-2, ჰედბერგი-1), 2:1 გრეტონი-3 (ულეტი-2), 3:1 ლეკავალიე-4 (ო'ბრაიენი-2), 4:1 სენტ ლუისი-1 (პროსპალი-2, ლეკავალიე-4), 5:1 დარჩი-1 (გრეტონი-1, რეინჯერსი-6), 6:1 პროსპალი-7 (ბ. რიჩარდსი-3, სენტ ლუისი-7), 6:2 სტერლინგი-1 (ლიტლი-2).

**დალასი-ანაჰაიმი 3:1**

1:0, 2:1, 0:0

**გოლები**: 1:0 მოროუ-4 (რიბეირო-4, ი. ლეჰტინენი-4), 2:0 რიბეირო-2 (ლუნდკვისტი-2, ბარნსი-3), 3:0 ი. ლეჰტინენი-1 (ბუშე-5, დელეი-3), 3:1 პრონგერი-1 (გეტცლაფი-7, პალსონი-1).

**სენტ ლუისი-მინესოტა 1:3**

0:0, 1:2, 0:1

**გოლები**: 0:1 დემიტრა-3 (ბელანჟე-4, კ. იონსონი-1), 1:1 ვაგნერი-1 (რუჩინსკი-4, ბეკმენი-2), 1:2 ბელანჟე-3 (ბუშარი-4, რადივოევიჩი-2), 1:3 ბერნსი-3 (გაბორიკი-4, ბუშარი-5).

**ფინიქსი-დეტროიტი 2:5**

2:1, 0:2, 0:2

**გოლები**: 0:1 ჰუდლერი-1 (კლირი-3, კრონვალი-1), 1:1 რაინპრეხტი-1 (მიულერი-1), 2:1 მორისი-2 (ჰანჟალი-3, უინიკი-2), 2:2 მიოლტბი-1 (ჩელიოსი-1, კოპეცკი-2), 2:3 მიოლტბი-2 (ზეტერბერგი-10, ლიდსტრიომი-5), 2:4 ლებდა-1 (ელისი-2, ჩელიოსი-2), 2:5 ზეტერბერგი-7 (ჰოლმსტრიომი-4, დაციუკი-8).

**კალგარი-ედმონტონი 4:1**

1:1, 1:0, 2:0

**გოლები**: 1:0 ჰუსელიუსი-6 (ფანოფი-4, იგინლა-7), 1:1 სემ განიე-1 (ჰორკოფი-4, მ. გრინი-1), 2:1 იგინლა-5 (ლენგკოუ-, ტანგეი-7), 3:1 ფანოფი-2 (ჰუსელიუსი-3, იგინლა-8), 4:1 ოკუანი-1 (ტანგეი-8, ფანოფი-5).

**სან ხოსე-ნეშვილი 3:0**

0:0, 1:0, 2:0

**გოლები**: 1:0 რიონიკი-3 (ჯ. ტორნტონი-5, რივეტი-6), 2:0 მარლო-2 (მიტჩელი-2, ერჰოფი-5), 3:0 მ. მიხალეკი-4 (ჯ. ტორნტონი-6, გრირი-1).

ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

# ფორტუნა აისმენ!

გუშინ, სან პაულუს ინტერლაგოსის ტრასაზე, ერთი სასწაული არ მოხდა, ერთი კი - მოხდა. არ მომხდარი სასწაული ისაა, რომ ჩემპიონი ვერ გახდა ფორმულა ერთის ბრიტანელი ახალბედა **ლუის ჰემილტონი**, შემდგარი სასწაული კი ისაა, რომ სამეფო რბოლების გვირგვინი ფინელმა **კიმი რაიკონენმა** დაიდგა, პილოტმა, ვის საჩემპიონო შანსებსაც რბოლის წინ, ალბათ, თავადაც მხოლოდ თეორიულად მიიჩნევდა.

თეორიულად იმიტომ, რომ მას საკუთარი გამარჯვების გარდა, მეტოქეთა წარუმატებლობისა და თანაგუნდელის, ბრაზილიელი **ფელიპე მასას** სისწრაფის იმედი უნდა ჰქონოდა. მოკლედ რომ ვქთვათ, ის ჩემპიონი მხოლოდ მისთვის ხელსაყრელ მოვლენათა დამთხვევის შემთხვევაში ხდებოდა. საბოლოოდ კი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ფინელი პილოტი ისურვებდა - ის მსოფლიოს 29-ე ჩემპიონი შეიქნა.

ინტერლაგოსი ის ტრასაა, სადაც კვალიფიკაციაზე მოპოვებულ მოწინავე პოზიციას რბოლაში დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება - ტრასის კონფიგურაცია პილოტებს რამდენიმე ადგილზე გასწრების საშუალებას აძლევს. ამის გამო, ჰემილტონის პოზიცია არც მას შემდეგ იძლეოდა დამშვიდების საშუალებას, რაც მან კვალიფიკაციაზე ორივე მთავარი მეტოქე უკან მოიტოვა. პოულს მასა დაეუფლა, ჰემილტონი კი მეორე ადგილს დასჯერდა. მომდევნო ადგილები, შესაბამისად რაიკონენმა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ** დაიკავეს, რომელმაც საკვალიფიკაციო სესიის დასრულებისთანავე ჩამოწერა თავისი საჩემპიონო შანსები. მაგრამ...

ლიდერთა განლაგება სტარტზევე აირია. მასამ მოწინავე პოზიცია კი შეინარჩუნა, მაგრამ მის უკან მოვლენები დრამატულად განვითარდა. ჰემილტონი მასას ჩაუდგა კვალში და ამით ბევრი რამ წააგო. პირველივე მოსახვევში მას რაიკონენმა გაუარა. მაგრამ ეს ბრიტანელისთვის ბევრი ხიფათის მომასწავებელი სულაც არ იყო. და ის ახლა ფინელს მიჰყვა, მაგრამ ამით კვლავ იზარალა. ერთ მომენტში, მასას ბოლიდის სიჩქარე მკვეთრად შემცირდა, რის გამოც, რაიკონენსაც ტემპის დაგდება მოუხდა. ამით კი ყველაზე მეტად ისევ ჰემილტონმა იზარალა, ვისაც დამუხრუჭება დაუგვიანდა. ამის გამო, მას უფრო მეტი დრო დასჭირდა ტემპის ასაკრეფად, ამასობაში კი, მორიგი მოსახვევის შემდეგ, მას გვერდით ალონსო ამოუდგა. რამდენადაც ესპანელი შემდეგ მოსახვევში შიდა რადიუსზე მოძრაობდა, გასწრებისას მცირე უპირატესობა მიიღო და ეს შანსი მშვენივრად გამოიყენა.

ერთბაშად ორი კონკურენტის დაწინაურებამ ჰემილტონზე უარყოფითად იმოქმედა. მის პრაგმატიზმს ტემპერამენტმა აჯობა და... ბრიტანელი ტრასის მიღმა აღმოჩნდა, რის გამოც მან მერვე ადგილზე ამოჰყო თავი. ეს უკვე კრახის პირველი ნიშანი იყო, მაგრამ ფორტუნამ ჩემპიონატის ლიდერს ესეც არ აკმარა.

ჰემილტონმა პირველივე წრის ბოლომდე იტალიელ **იარნო ტრულის** გაასწრო და მეშვიდეზე გადაინაცვლა, მერე ხუთი წრე უშედეგოდ ცდილობდა გერმანელი **ნიკ ჰაიდფელდის** გასწრებას და როცა ისიც ჩამოიტოვა, სწორედ მაშინ უმუხთლა "მაკლარენის" გადაცემათა კოლოფის ელექტრონიკამ. მანქანამ მოულოდნელად სიჩქარე დაკარგა. თითქოს, ბრიტანელისთვის რბოლა იქვე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ამჯერად ფორტუნამ მისკენაც მოიხედა და რბოლის გადარჩენის შანსი მისცა. მაგრამ სანამ რბოლას დაუბრუნდებოდა, ჰემილტონს მთელმა პელოტონმა გაასწრო.

ამ დროს პირველი მასა იყო, რომელსაც კვალში რაიკონენი ედგა, მესამეზე კი ალონსო იყო. ამ განლაგებით, ჩემპიონი ფინელი პილოტი ხდებოდა, ვინც რბოლის დაწყებამდე ესპანელს სამი ქულით ჩამორჩებოდა. ალონსოს საქმე კიდევ უფრო მას შემდეგ გაურთულდა, რაც მას 33-ე წრეზე პოლონელმა **რობერტ კუბიცამ** რისკიანი მანევრით გაასწრო. თითქმის ამავდროულად, ჰემილტონმა ჯერ ერთი პოზიციით წინ წაიწია, შემდეგ კი მეორედ შიაშურა ბოქსებს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ინციდენტის შემდეგ, მას გუნდმა სამი პიტ სტოპი დაუგეგმა.

რაიკონენი კი პიტ სტოპების მეორე სერიის შემდეგ დაწინაურდა. ბოქსში პირველი მასა შევიდა, ფინელმა კი ბოქსში შესვლა ორი წრით დააგვიანა. რა თქმა უნდა, ეს რისკი იყო, მაგრამ გამართლებული რისკი, რომელმაც მას თანაგუნდელის ჩამოტოვების საშუალება მისცა. თანაც ისე, რომ მათ გუნდურ თამაშში ვერავინ დაადანაშაულებდა.

რაიკონენმა პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი, მაგრამ ერთხანს მაინც ვერავინ იტყოდა, რომ მას ჩემპიონობა განაღდებული ჰქონდა. მან ტიტული მას შემდეგ გაინაღდა, რაც ალონსომ მესამე, ჰემილტონმა კი მეშვიდე ადგილები დაიკავეს. ამგვარად, ფინელმა პილოტმა ორივეს თითო ქულით აჯობა და კარიერაში პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ჰემილტონი კი მეორე ადგილს იმის წყალობითღა დაეუფლა, რომ მან რბოლები მეორე ადგილზე ალონსოზე მეტჯერ დაასრულა.

*"ყველაზე რთულ მომენტებშიც კი, მთელი გუნდი ერთიანი მექანიზმივით მუშაობდა. ჩვენ ბოლო მომენტამდე ისე ვაგრძელებდით მუშაობას, თითქოს, ჩემპიონატის ბედი კონკრეტულ მომენტში წყდებოდა. ერთხელაც არ ჩამოგვიყრია ყურები. ვფიქრობ, ჩემი გამარჯვება გუნდური შემართების შედეგია",* - განაცხადა აისმენის მეტსახელით ცნობილმა რაიკონენმა, ვინც ფორმულა ერთის მესამე ფინელი ჩემპიონია. ბარემ შეგახსენებთ, რომ პირველი ფინელი ჩემპიონი 1982 წელს **კეკე როსბერგი** გახდა, 1998-1999 წლებში კი ბადალი არ ჰყავდა **მიკა ჰაკინენს**.

მისი შვილის მარცხის მიუხედავად, იხტიბარს არ იტეხავდა ფორმულა ერთის პირველი შავკანიანი პილოტის მამა **ენტონი ჰემილტონი**. *"რა თქმა უნდა, ერთი ქულით წაგება საწყენია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ეს სეზონი ჩვენი გუნდისთვის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ეგ არაფერი, მერმის უფრო ძლიერები ვიქნებით და კვლავ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ"*, - ბრიტანულ ტელეარხ ITV-სთან საუბრისას განაცხადა უფროსმა ჰემილტონმა.

ჩემპიონს გამარჯვება პრესკონფერენციაზევე მიულოცა ალონსომ: *"ვულოცავ კიმის. მან მთელი ჩემპიონატი შესანიშნავად ჩაატარა და ეს ტიტულიც დაიმსახურა"*. ალონსო რომ ჩემპიონი გამხდარიყო, ის ლეგენდარული არგენტინელის, **ხუან მანუელ ფანხიოს** მიღწევას გაიმეორებდა, ვინც 1957 წელს ჩემპიონის ტიტული მას შემდეგ დაიცვა, რაც გუნდი გამოიცვალა.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ეტაპით ადრე, რაიკონენი ჰემილტონს 17 ქულით ჩამორჩებოდა და მაშინ გამოუსწორებელი ოპტიმისტიც კი ვერ იტყოდა, რომ ფინელი პილოტი ჩემპიონი გახდებოდა. იმასაც შეგახსენებთ, რომ აქამდე ის ორჯერ (2003 და 2005 წლებში) იყო ვიცე ჩემპიონი. პირველ შემთხვევაში, მას სეზონში ერთადერთი რბოლა ჰქონდა მოგებული, მაგრამ მხოლოდ ორი ქულა დათმო **მიხაელ შუმახერთან**, ვინც ჩემპიონი ექვსი გამარჯვებით გახდა.

დაკიდევ, ბრაზილიაში ზუსტად განმეორდა 1986 წლის სეზონის დრამა, როცა ჩემპიონი **ალენ პროსტი** გახდა. მაშინაც, ბოლო რბოლის წინ, პროსტი მესამე იყო და ლიდერ **ნაიჯელ მენსელს** 6 ქულით ჩამორჩებოდა...

| ბრაზილიის დიდი პრიზი. მე-17 ეტაპი | |
|---|---|
| **ინტერლაგოსი (სან პაულუ, ბრაზილია). 305.909 კმ (4.309 კმ X 71 წრე)** | |
| 1. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) | 1:28:15.270 |
| 2. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) | +00:01.493 |
| 3. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 00:57.019 |
| 4. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა) | 01:02.848 |
| 5. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, ბეემვე ზაუბერი) | 01:10.957 |
| 6. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, ბეემვე-ზაუბერი) | 01:11.317 |
| 7. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 1 წრე |
| 8. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) | 1 წრე |
| 9. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბულ-რენო) | 1 წრე |
| 10. კაძუკი ნაკაძიმა (იაპონია, უილიამს-ტოიოტა) 1 წრე | |
| 11. რალფ შუმახერი (გერმანია, ტოიოტა) | 1 წრე |
| 12. ტაკუმა სატო (იაპონია, სუპერ აგური-ჰონდა) | 2 წრე |
| 13. ვიტანტონიო ლიუცი (იტალია, ტორო როსო-ფერარი) | 2 წრე |
| 14. ენტონი დევიდსონი (ბრიტანეთი, სუპერ აგური-ჰონდა) | 3 წრე |
| გ. ადრიან სუტილი (გერმანია, სპაიკერ-ფერარი) | 28 წრე |
| გ. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) | 31 წრე |
| გ. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, რენო) | 36 წრე |
| გ. სებასტიან ფეტელი (გერმანია, ტორო როსო-ფერარი) | 37 წრე |
| გ. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) | 51 წრე |
| გ. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბულ-რენო) | 57 წრე |
| გ. საკონ იამამოტო (იაპონია, სპაიკერ-ფერარი ) | 69 წრე |
| გ. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, რენო) | 69 წრე |

*(შენიშვნა: გ - გამოეთიშა)*

*უსწრაფესი წრე: კიმი რაიკონენი - 1:12.445, 66-ე წრე*

**პირადი კლასიფიკაცია**

1. კიმი რაიკონენი 110 ქულა; 2. ლუის ჰემილტონი 109; 3. ფერნანდო ალონსო 109; 4. ფელიპე მასა 94; 5. ნიკ ჰაიდფელდი 61; 6. რობერტ კუბიცა 39; 7. ჰეიკი კოვალაინენი 30; 8. ჯანკარლო ფიზიკელა 21; 9. ნიკო როსბერგი 20; 10. დევიდ კულტჰარდი 14; 11. ალექსანდერ ვურცი (ავსტრია, უილიამს-ტოიოტა) 13; 12. მარკ უებერი 10; 13. იარნო ტრული 8; 14. სებასტიან ფეტელი 6; 15. ჯენსონ ბატონი 6; 16. რალფ შუმახერი 5; 17. ტაკუმა სატო 4; 18. ვიტანტონიო ლიუცი 3; 19. ადრიან სუტილი 1; 20. რუბენს ბარიკელო 0; 21. სკოტ სპიდი (აშშ, ტორო როსო-ფერარი) 0; 22. ავსტრია, უილიამს-ტოიოტა 0; 23. ენტონი დევიდსონი 0; 24. საკონ იამამოტო 0; 25. კრისტიან ალბერსი (ჰოლანდია, სპაიკერ-ფერარი) 0

**კონსტრუქტორთა პირველობა**

1. ფერარი 204 ქულა; 2. BMW ზაუბერი 101; 3. რენო 51; 4. უილიამს-ტოიოტა 33; 5. რედ ბულ-რენო 24; 6. ტოიოტა 13; 7. ტორო როსო-ფერარი 8; 8. ჰონდა 6; 9. სუპერ აგური-ჰონდა 4; 10. სპაიკერ-ფერარი 1



აისმენი საჩემპიონო შამპანურს დაჯილდოებამდე დაენაფა

## TV სპორტი

**22 ოქტომბერი. ორშაბათი**

**I არხი**

22:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 არგენტინის ჩემპიონატი.
14:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-სოშო.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
16:55 ესპანეთის ჩემპიონატი.
18:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:10 რუსეთის ჩემპიონატი.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ტოტენჰემი (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)
07:02 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
07:31 ფეხბურთი. MLS. აშშ-ის ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-ნიუ იორკი.
09:19 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
09:46 ფეხბურთი. Barca TV.
09:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შტუტგარტი.
11:42 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
13:31 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:00 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
14:29 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:00 ფრენბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-ზაკარპატია.
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ემპოლი.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-სანდერლენდი.
21:00 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
21:29 სპორტის სამყარო.
22:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ნაუტიკო-კორინთიანსი.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
02:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
02:53 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შტუტგარტი.
04:42 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
05:11 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.

**EUROSPORT**

10:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
11:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი.
12:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. ფინალი. აბერდინი. შოტლანდია.
14:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ციურიხი. შვეიცარია.
15:45 ხელბურთი. სუპერთასი. მამაკაცები. ფინალი. სლოვენია.
17:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. ფინალი. აბერდინი. შოტლანდია.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 მულტისპორტი.
21:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
22:00 სუმო.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
03:00 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ხელბურთი. სუპერთასი. მამაკაცები. მე-3 ადგილისთვის. სლოვენია.
13:00 ხელბურთი. სუპერთასი. მამაკაცები. ფინალი. სლოვენია.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ექსტრემალური სპორტი.
17:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი.
18:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ავსტრალია.
19:00 კალათბურთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
21:00 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ხელბურთი. სუპერთასი. მამაკაცები. ფინალი. სლოვენია.
23:30 კალათბურთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ექსტრემალური სპორტი.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| საბერძნეთი | |
|---|---|
| ეგალეო-აეკ | 78:65 |
| კოლოსოსი-პანიონიოსი | 73:78 |
| ოლიმპია-აელ | 73:75 |
| ოლიმპიადა-არისი | 67:85 |
| პანათინაიკოსი-რეთიმნო | 90:81 |
| ოლიმპიაკოსი-პაოკი | 76:66 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ვალენსია-უნიკახა | 75:65 |
| რეალი-ფუენლაბრადა | 74:69 |
| ბარსელონა-გრან კანარია | 69:65 |
| კახასოლი-ხირონა | 79:80 |
| გრანადა-ვალიადოლიდი | 74:68 |
| ლეონი-ბილბაო | 77:76 (ო) |
| მენორკა-ხუვენტუდი | 68:93 |
| მურსია-ესტუდიანტესი | 87:70 |
| ტაუგრესი-მანრესა | 82:83 |

| იტალია | |
|---|---|
| ბენეტონი-კანტუ | 78:79 |
| მონტეპასკი-მილანი | 95:59 |
| აველინო-ბიელა | 72:79 |
| ვირტუსი-ნაპოლი | 74:78 |
| მონტეგრანარო-სკავოლინი | 76:77 |
| რიეტი-ტერამო | 94:86 |
| რომა-დ'ორლანდო | 84:72 |
| სნაიდერო-სკაფატი | 72:58 |
| ვარეზე-კლიმამიო | 82:78 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| რუანი-ტულონი | 88:86 |
| ვიში-პსჟ | 70:58 |
| ლე მანი-პო ორტეზი | 78:73 |
| შოლე-დიჟონი | 83:73 |

**ჰოკეი**

| რუსეთი | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-ტრაქტორი | 9:1 |
| ს. იულაევი-ლადა | 4:0 |
| ცსკა-ტორპედო | 4:4 |
| ავანგარდი-სპარტაკი | 1:3 |
| სიბირი-მეტალურგი (ნ) | 4:2 |
| აკ ბარსი-ნეფტეხიმიკი | 5:1 |
| ვიტიაზი-ამური | 2:1 |
| ლოკომოტივი-სევერსტალი | 2:1 |

| გერმანია | | |
|---|---|---|
| ჰამბურგი-დუისბურგი | | 6:3 |
| დიუსელდორფი-აისბარენი | 3:3 ო.ტ. | 3:4 |
| ინგოლშტადტი-მანჰაიმი | | 6:3 |
| აუგსბურგი-ფრანკფურტი | 2:2 ო.ტ. | 3:2 |
| ვოლფსბურგი-შტრაუბინგი | | 4:2 |
| იზერლონი-ჰანოვერი | | 5:3 |
| კრეფელდი-ნიურნბერგი | 3:3 პენ. | 0:1 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| მარტინი-ზვოლენი | 3:1 |
| კეჟმაროკი-სკალიცა | 1:3 |
| კოშიცე-ნიტრა | 8:2 |
| სლოვანი-ჟილინა | 5:3 |
| ტრენჩინი-პოპრადი | 4:0 |

| ფინეთი | |
|---|---|
| კიეკო-პელიკანსი | 1:1 |
| ჰპკ-ილვესი | 2:4 |
| კერპეტი-კაიპა | 5:2 |
| ესეტი-ტპს | 4:3 |

| ჩეხეთი | | |
|---|---|---|
| ვიტკოვიცე-პლზენი | | 5:4 |
| კლადნო-ბრშინეცი | | 1:2 |
| პარდუბიცე-კარლოვი ვარი | | 4:2 |
| სლავია-ბუდეიოვიცე | | 4:1 |
| სპარტა-ქლინი | | 4:3 |
| ზნოიმო-ლიტვინოვი | | 3:1 |
| სლოვანი-ლიბერეცი | 2:2 ო.ტ. | 2:3 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ბერნი-კლოტენი | 3:2 |
| რაპერსვილი-ლუგანო | 2:4 |
| ლანგნაუ-სერვეტი | 5:4 |
| ამბრი-დავოსი | 2:4 |
| ბაზელი-ცუგი | 1:3 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ბრიუნასი-ფრიოლუნდა | 1:5 |
| ტიმრე-ლულეა | 1:0 |
| მორა-ლინჩოპინგი | 0:0 |
| იურგორდენი-სიოდერტალე | 1:1 |
| აიკ-მოდო | 2:0 |
| ჰვ 71-ფერიესტადი | 3:0 |

**ჩოგბურთი**

| ATP. მადრიდი | |
|---|---|
| ფედერერი-ნალბანდიანი | 6:1, 3:6, 3:6 |

| WTA. ციურიხი | |
|---|---|
| ანენი-გოლოვინი | 6:4, 6:4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

## როდიკი შანხაიში მიდის

ამერიკელი **ენდი როდიკი** მეხუთე ჩოგბურთელი გახდა, რომელმაც სეზონის შემაჯამებელ ტურნირში გამოსვლის უფლება მოიპოვა.

დარჩენილია კიდევ სამი ვაკანტური ადგილი, მანამდე კი, შეგახსენებთ იმ ჩოგბურთელებს, რომლებმაც როდიკამდე ადრე მოიპოვეს შანხაიში გასამგზავრებელი ბილეთი. ესენი არიან: შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**, ესპანელი **რაფაელ ნადალი**, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და რუსი **ნიკოლაი დავიდენკო**.

## პეტროვა ლინცში არ იქნება

რუსი ჩოგბურთელი **ნადია პეტროვა** მონაწილეობას ვერ მიიღებს ლინცის ტურნირში, რომელიც დღეს აილებს სტარტს. მსოფლიო რეიტინგის მე-12 ნომერს ბარძაყის ტრავმა აწუხებს.

აღსანიშნავია, რომ შარშან პეტროვამ ამ ტურნირზე ფინალში გააღწია და იქ თანამემამულე **მარია შარაპოვასთან** წააგო.

ლინცში თამაშზე უარის თქმით, რუს ჩოგბურთელს მადრიდში წელიწადის შემაჯამებელ ტურნირზე მონაწილეობის არანაირი შანსი აღარ ეძლევა.

## სამპრასი ზეიმს ელოდება

22 ნოემბერს, მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში საინტერესო საჩოგბურთო შეხვედრა გაიმართება. მატჩში, რომელსაც "დროთა დაპირისპირება" დაარქვეს, ერთმანეთს ლეგენდარული ამერიკელი **პიტ სამპრასი** და მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** შეხვდებიან.

*"ეს უნიკალური მატჩი იქნება. როჯერთან დაპირისპირება ჩოგბურთის მოყვარულთათვის ნამდვილ ზეიმად უნდა იქცეს. დარწმუნებული ვარ, რომ საინტერესო შეხვედრა გველის და უკვე მოუთმენლად ველი კორტზე გასვლას"*, - განაცხადა სამპრასმა "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

## კორია კარიერას ამ კვირას განაახლებს

ცნობილი არგენტინელი ჩოგბურთელი **გილერმო კორია** ამ კვირას დაუბრუნდება კორტს. ეს მოხდება ბრაზილიაში, "ჩელენჯერის" სერიის ერთ-ერთ ტურნირში.

კორია წელიწადის განმავლობაში არ თამაშობდა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: დოპინგის მიღებისთვის დისკვალიფიკაცია და ზურგის ტრავმა, რომლის გამოც, არგენტინელმა კინაღამ დაასრულა კარიერა.

*"მთავარი მიზანი 2008 წლის სეზონისთვის მომზადებაა. ძალიან მინდა ოლიმპიადაზე მოხვედრა, რადგან ეს ჩემი უპირველესი ოცნებაა. მჯერა, რომ ძველი ფორმის აღდგენას მოვახერხებ"*, - აცხადებს 25 წლის კორია.

## საფინმა სეზონი დაასრულა

რუსმა **მარატ საფინმა** სეზონის ნაადრევად დასრულება გადაწყვიტა. ჩოგბურთელის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წერია, რომ საფინი უკმაყოფილო დარჩა მადრიდის მასტერსზე ნაჩვენები თამაშით და თავის მწვრთნელ **ერნან გუმისთან** კონსულტაციის შემდეგ, გადაწყვიტა, 2007 წელს კორტზე აღარ გავიდეს.

ჰიმალაიში ექსპედიციამ საფინს დიდი ძალები გამოაცალა და მოთამაშე რითმიდან ამოაგდო. შესაბამისად, ის კრემლის თასზე და მადრიდის მასტერსზე საკუთარ თავს არ ჰგავდა. ახლა რუსი ჩოგბურთელი აპირებს სამ კვირაში, ვალენსიაში განაახლოს აქტიური ვარჯიშები და მომავალ წელს, ავსტრალიის ღია პირველობას სრულ მზადყოფნაში შეხვდეს.

ასე რომ, საფინმა თავად თქვა უარი დევისის თასის ფინალში თამაშზე. როგორც იცით, დეკემბრის დასაწყისში, რუსები ამერიკაში დაუპირისპირდებიან ადგილობრივ ნაკრებს.

## შარაპოვამ კაბა გაყიდა

**მარია შარაპოვამ** აუქციონზე გასაყიდად გაიტანა ის სპორტული კოსტიუმი, რომლითაც ამერიკის ღია პირველობაზე თამაშობდა. ამ აქციისგან შემოსული ფული მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდება.

"ნაიკის" ფირმის შავ-თეთრ კაბაზე ჩოგბურთელის ავტოგრაფიც არის გამოსახული.

აუქციონი 31 ოქტომბერს, რუსი ჩოგბურთელის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გაიმართება.

## იოჰანსონი დირექტორი გახდა

32 წლის შვედი ჩოგბურთელი **ტომას იოჰანსონი**, რომელიც თავის დროზე ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი იყო, მომავალი წლიდან ერთმანეთს შეუხამებს პროფესიონალი მოთამაშისა და სპორტული ფუნქციონერის ვალდებულებებს.

იოჰანსონი ATP-ის სერიის ერთ-ერთი ტურნირის სპორტულ დირექტორად დაინიშნა. ეს შეჯიბრი ტრადიციულად ივლისში, შვედეთის ქალაქ ბასტადში იმართება. ტომასის მთავარი ამოცანა მაქსიმალურად ძლიერი შემადგენლობის შეკრება იქნება. ჯერჯერობით, არაფერს იტყობინებიან იმის შესახებ, ითამაშებს თუ არა ბასტადის ტურნირზე თავად იოჰანსონი.

მოტორბოლა

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**მალაიზიის გრან-პრი**

**XVII ეტაპი**

**125 კუბ.სმ (19 წრე - 105.412 კმ)**

1. **ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - 42:50.831; 2. **კოიამა** (იაპონია, KTM) - +6.753; 3. **ფაუბელი** (ესპანეთი, "აპრილია") - +7.793; 4. **ოლივე** (ესპანეთი, "აპრილია") - +8.180; 5. **გადეა** (ესპანეთი, "აპრილია") - +8.947.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ტალმაში** - 262 ქულა; 2. **ფაუბელი** - 252; 3. **კოიამა** - 186; 4. **პეშეკი** (ჩეხეთი, "დერბი") - 171; 5. **კორსი** (იტალია, "აპრილია") - 164.

**250 კუბ.სმ (20 წრე - 110.960 კმ)**

1. **ჰიროში აიომა** (იაპონია, KTM) - +43:09.316; 2. **ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - +2.251; 3. **ლორენსო** (ესპანეთი, "აპრილია") - +2.957; 4. **კალიო** (ფინეთი, KTM) - +2.965; 5. **ლიუტი** (შვეიცარია, "აპრილია") - +7.305.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ლორენსო** - 303 ქულა (მსოფლიო ჩემპიონი); 2. **დოვიციოზო** (იტალია, "ჰონდა") - 247; 3. **დე ანჯელისი** (სან მარინო, "აპრილია") - 215; 4. **ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - 181; 5. **ბარბერა** - 166.

**მოტოგრანპრი (27 წრე - 120.096 კმ)**

1. **სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - 43:04.405; 2. **მელანდრი** (იტალია, "ჰონდა") - +1.701; 3. **პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - +2.326; 4. **დე პიუნიე** (საფრანგეთი, "კავასაკი") - +3.765; 5. **როსი** (იტალია, "იამაჰა") - +4.773.

**საერთო ჩათვლა:** 1. **სტოუნერი** - 347 ქულა; 2. **როსი** - 241; 3. **პედროსა** - 217; 4. **მელანდრი** - 174; 5. **ჰოპკინსი** (ბრიტანეთი, "სუძუკი") - 173.

ჩოგბურთი

ტურნირები

# ჟუსტინის მეცხრე ტიტული

მსოფლიოს პირველი ჩოგნის, ბელგიელი **ჟუსტინ ანენის** გამარჯვებით დასრულდა ციურიხის პირველი კატეგორიის ტურნირი, რომლის ფინალშიც მან ფრანგი **ტატიანა გოლოვინი** დაამარცხა. ბელგიელი ჩოგბურთელისთვის ეს ამ სეზონში ნათამაშები მე-13 ტურნირია, რომელთაგან მეცხრე მოიგო. მას შემდეგ კი, რაც უიმბლდონის ნახევარფინალში ფრანგ **მარიონ ბარტოლისთან** დამარცხდა, ზედიზედ ოცი შეხვედრა მოიგო.

*"ეს ჩემი კარიერის საუკეთესო სეზონია. საოცარია, მეცხრე ტურნირი მოვიგე. ასეთ რამეს სეზონის დასაწყისში ვერც კი წარმოვიდგენდი. ტატიანასთან შეხვედრაში თავიდან ცოტა გამიჭირდა. ის საკმაოდ აგრესიულად თამაშობდა და მუდმივად ზეწოლის ქვეშ ვყავდი. მაგრამ შემდეგ თანდათან შევეჩვიე მის აგრესიას და თამაშიც უკეთ წამივიდა"*, - განაცხადა ნამატჩევს ჟუსტინმა, ვისაც გოლოვინთან ნათამაშები წინა სამივე შეხვედრაც მოგებული აქვს.

ფინალის დასაწყისში გოლოვინი აშკარად სჯობდა მეტოქეს და მისი ეს უპირატესობა ოთხი გეიმის შემდეგ ანგარიშშიც აისახა - 3:1 მის სასარგებლოდ. მაგრამ შემდეგ ფრანგს რამდენიმე შეცდომა მოუვიდა, რამაც ბელგიელს საპასუხო ბრეიკის აღების შანსი მისცა. უფრო მეტიც, მეცხრე გეიმში გოლოვინმა თავის სერვისზე ზედიზედ სამი უნებლიე შეცდომა დაუშვა და, რა თქმა უნდა, ჟუსტინმა ამითაც შესანიშნავად ისარგებლა - 5:4 მის სასარგებლოდ.

აქ გოლოვინმა ტრავმული ტაიმ-აუტი აიღო, მაგრამ ამით მაინც ვერ შეძლო მეტოქის რიტმიდან ამოგდება. ჟუსტინმა იოლად მოიგო თავისი სერვის გეიმი და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა. უფრო მეტიც, მეორე სეტიც ბელგიელის მიერ მოპოვებული ბრეიკით დაიწყო. ახლა უკვე ფრანგის რევანშის ჯერი დადგა და მანაც მომდევნო გეიმშივე საპასუხო ბრეიკი აიღო, მაგრამ მესამე გეიმში კვლავ თავის სერვის-გეიმზე ვერ ივარგა - 2:1 ანეის სასარგებლოდ. ეს ციურიხის ტურნირის ფინალის ბოლო ბრეიკი იყო, რომლის შემდეგაც მეტოქეებს თავიანთ მოწოდებაზე ქულები აღარ გაუნიავებიათ.

*"ჟუსტინი აბსოლუტურად საუკეთესოა. მისთვის გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. მეტოქის ნებისმიერ სვლაზე პოულობს პასუხს. მისი თამაში ყოველთვის აღმაფრთოვანებს. რაც მეტს ვთამაშობ მისი კლასის ჩოგბურთელების წინააღმდეგ, მით უფრო ძლიერი ჩოგბურთელი ვხდები და ვიმედოვნებ, რომ ადრე თუ გვიან, ამის შედეგს მოვიმკი"*, - განაცხადა გოლოვინმა.

უნდა ითქვას, რომ ჟუსტინმა ფინალის წინ ტკივილგამაყუჩებელი გამოიყენა. საქმე ისაა, რომ ნახევარფინალში, ჩეხ **ნიკოლ ვაიდიშოვასთან** თამაშისას, მან ჩოგანი ნეკნებში მოირტყა. *"ერთ მომენტში ბურთს ძლივს მივწვდი. ჩოგანი ძლიერ მოვიქნიე და ბურთს რომ მოვარტყი, მერე ის ნეკნებშიც მომხვდა. არაფერია, ასეთი რამ შეიძლება ნებისმიერს შეემთხვას"*, - განაცხადა ჟუსტინმა.

მადრიდში კი მასტერსის სერიის ტურნირი მოულოდნელი შედეგით დასრულდა - მის ფინალში, არგენტინელმა **დავიდ ნალბანდიანმა** დაძაბულ პაექრობაში დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**. არგენტინელის ტრიუმფი მით უფრო შთამბეჭდავად გამოჩნდება, თუ გავიხსენებთ, რომ ფინალამდე მან ტურნირი დაატოვებინა ჯერ მსოფლიოს მეორე ჩოგანს, ესპანელ **რაფაელ ნადალს**, შემდეგ კი მსოფლიოს მესამე ჩოგანს, სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩსაც** მოუგო.

სხვათა შორის, გერმანელი **ბორის ბეკერის** შემდეგ ნალბანდიანი პირველი ჩოგბურთელია, ვინც ერთ ტურნირზე მსოფლიოს სამი საუკეთესო მეჩოგნის დამარცხება შეძლო. ბეკერმა იგივე 1994 წელს შეძლო.

ფინალური შეხვედრის დასაწყისში ნალბანდიანს კარგს არაფერს უქადდა - მას ფედერერმა მხოლოდ ერთი გეიმის მოგების საშუალება მისცა. მაგრამ ამან არგენტინელი ვერ დააბნია. მან ჯერ სეტებში ანგარიში გაათანაბრა (ფედერერისთვის ეს ტურნირზე წაგებული პირველი სეტი იყო), შემდეგ კი გადამწყვეტ სეტშიც იმარჯვა და ტურნირის მთავარ პრიზსაც დაეუფლა.

ფედერერისთვის ეს მიმდინარე სეზონში მეშვიდე წაგებული შეხვედრაა. ამასთან, აგვისტოს შემდეგ მან პირველად წააგო. შეგახსენებთ, რომ აგვისტოში ის მონრეალის მასტერსის ფინალში ჯოკოვიჩმა დაამარცხა. სხვათა შორის, ეს ორი ჩოგბურთელი მანამდე ცხრაჯერ შეხვედრია ერთმანეთს, მათგან რვა შეხვედრა კი ფედერერს აქვს მოგებული (მათ შორის ერთი შარშან მადრიდის მასტერსის ნახევარფინალში). სამაგიეროდ, არგენტინელს მსოფლიოს პირველი ჩოგანი მასტერსის თასზე, 2005 წელს ჰყავს დამარცხებული.

*"კორტზე მაქსიმალურად მობილიზებული გავედი. ფინალამდე რომ რამდენიმე ტოპ-მეჩოგნეს მოვუგე, ამან თავდაჯერებულობა შემმატა, ეს კი ფინალში გამომადგა"*, - განაცხადა ნალბანდიანმა.

*"დავიდმა ბრწყინვალედ ითამაშა. თქმა არ უნდა, ამჯერად მან მაჯობა. ვფიქრობ, როცა ზედიზედ ნადალსა და ჯოკოვიჩს მოუგებ, მიღებული კურაჟით ფინალში თამაში ერთიორად ადვილია. ნებისმიერ შემთხვევაში, მან ეს გამარჯვება დაიმსახურა"*, - განაცხადა ფედერერმა, ვინც პირველი სეტი ნახევარ საათში მოიგო, მაგრამ როცა ყველამ იფიქრა, რომ ის მორიგ იოლ გამარჯვებას მოიპოვებდა, ნალბანდიანმა სწორედ მაშინ შემოაბრუნა თამაში.

მეორე სეტში არგენტინელმა მეორე გეიმშივე მიაღწია ბრეიკს და ეს უპირატესობა სეტის ბოლომდე შეინარჩუნა. გადამწყვეტი სეტის წინ, თამაში ცოტა ხნით შეწყდა - კორტის მიღმა მოთავსებულ საყვავილეებიდან წყალმა გაჟონა. მაგრამ ამას არგენტინელი რიტმიდან არ ამოუგდია. მან მესამე გეიმში ბრეიკი აიღო და ამის შემდეგაც გააგრძელა მეტოქის ძლიერი მოწოდებით ბომბვა. შედეგად, მეცხრე გეიმში კიდევ ერთხელ აიღო ფედერერის მოწოდება და თამაშსაც ამით დაუსვა წერტილი.

**ATP**

**მადრიდის მასტერსი**

მადრიდი (ესპანეთი). მწვანე ხალიჩა

საპრიზო ფონდი: 2 082 500 ევრო

**მეოთხედფინალი**

**ნიკოლას კიფერი (გერ)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 5) 7:6(5), 6:2

**ნახევარფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ნიკოლას კიფერი (გერ) 6:4, 6:4

**დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3) 6:4, 7:6(4)

**ფინალი**

**დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-როჯერ ფედერერი (შვეი, 1) 1:6, 6:3, 6:3

**WTA**

**ციურიხის ღია**

ციურიხი (შვეიცარია). ჭერქვეშა ჰარდი

საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)**-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) 3:6, 6:3, 7:5

**ტატიანა გოლოვინი (საფ)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:0, 6:4

**ფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)**-ტატიანა გოლოვინი (საფ) 6:4, 6:4




დავიდ ნალბანდიანი

რეკლამა-განცხადებების გამოქვეყნებაზე ნებისმიერი შეკვეთების მიღება რეგიონებიდან შესაძლებელია რედაქციასთან სატელეფონო შეთანხმებით.

საკონტაქტო ტელეფონებია: 46 32 62; 899 55 48 97. "ლელოს" საბანკო რეკვიზიტებია: შპს "გაზეთი ლელო", "ვითიბი ბანკი ჯორჯია", ცენტრალური ფილიალი. ანგარიშის ნომერი: 016467589; საიდენტიფიკაციო კოდი: 203826075; ბანკის კოდი: 220101666; მფო 520289.

ლელო
სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა